

K 98 771
3 ov

0000000000
302 2000000000

K 98.771
300

Digitized by srujanika@gmail.com
Digitized by srujanika@gmail.com

କାରତ୍ତାଳୀ ମାରାନ୍ଦ




১০. ৬. ২০১৯৮০৩

୬୬୩୨

პაროლი მარინი

198.771
30v



„საბჭოთა სამინისტრო“
მაილი

1961

პ ტ ი რ ი ს ა ბ ა ნ

ქართული მარნის ძირითად საღვინე ჭურჭლად ქვევრი ითვლება. ქართული ღვინოების თავისებურებანი მჭიდროდაა დაკავშირებული ქვევრის მეურნეობასთან, რომელიც დიდად იყო განვითარებული ჩვენში ჯერ კიდევ შორეულ წარსულში. ამას ეჭვმიუტანლად ადასტურებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული მრავალი არქეოლოგიური მასალა, უძველესი მატერიალური ძეგლები, ხალხური თქმულებები და ლიტერატურული წყაროები.

ქვევრი ამჟამადაც დიდ როლს ასრულებს წევნი რესპუბლიკის ღვინის მრეწველობაში და, განსაკუთრებით, საკოლმეურნეო მეღვინეობაში. ის ჯერჯერობით შეუცვლელი ტარაა მაღალხარისხოვანი კახური და იმერული ტიპის ღვინოების დასაყენებლად. მიუხედავად ამისა, ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში ძალზე ცოტაა თქმული ამ შესანიშნავი საღვინე ჭურჭლის შესახებ.

წინამდებარე ბროშურაში მოცემულია ქართული მარნის შენობის, მისი მოწყობილობის, სახმარი იარაღ-მანქანების დახასიათება, გაშუქებულია საღვინე ტარის ექსპლუატაციის პირობები. მარნის დახასიათებისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ქვევრის მეურნეობაზე, უმთავრესად, კახური ტიპის ღვინის თავისებურებებთან დაკავშირებით. მოკლედ ვაშუქებთ აგრეთვე იმერული და ევროპული ტიპის ღვინოების ქვევრში დაყენების ძირითად საკითხებს. ბროშურის შედეგნაში გამოყენებული გვაქვს როგორც პრაქტიკოს-მეღვინე-

თა გამოცდილება, ასევე მეცნიერების მიღწევები და ჩვენა
საკუთარი კვლევის შედეგები.

ვფიქრობთ, ბროშურა დააინტერესებს მეღვინე-სპეციალის-
ტებს და ერთგვარად დაეხმარება მათ ქართული მარნის
მეურნეობისა და, მაშასალამე, ქართული ლგინის ხარისხის
შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

დ. გ ი ა შ ვ ი ლ ი

შართული მარანი


მარნის ასაშენებლად შერჩეულ უნდა იქნეს ისეთი ადგილი, რომ შენობა ადვილად მარაგდებოდეს წყლით. მარანში სახმარი წყალი რაც შეიძლება ცივი და სუფთა უნდა იყოს; სამარნე ადგილი შედარებით მშრალი ჯობია; დაუშვებელია მარნის აშენება ისეთ ადგილზე, სადაც მიწისქვეშა წყლები ახლოსაა ნიადაგის ზედაპირთან, რადგან ზოგიერთ ჭარბნალექიან წლებში ამან შეიძლება ქვევრებზე წყლის მოდგომა გამოიწვიოს.

უნდა ვერიდოთ აგრეთვე მარანთან მკვრივფესვებიანი მცენარეების — კაკლის, თუთისა და სხვათა სიახლოეს. ასეთ მცენარეთა ფესვები ხშირად ქვევრის კედლებს აზიანებენ და ზოგჯერ შიგაც შეიტრებიან ხოლმე. საერთოდ კი მარნის გარშემო მისაღებია და მიზანშეწონილიცაა დეკორატიულ ხე-მცენარეთა დარგია. ასეთ მცენარეთა საფარი, სილამაზის გარდა, ჩრდილავს და ქარისაგან იცავს შენობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მარანში კარგი ტემპერატურული პირობების შექმნისათვის.

ამორჩეულ სამარნე ადგილს ქვევრების რაოდენობის მიხედვით ვგეგმავთ და შემდეგ ვაკეთებთ თხრილს იმ ანგარიშით, რომ მისი სიმაღლე 25 — 30 სმ-ით ჭარბობდეს ქვევრის სიმაღლეს; თხრილის სიგრძე-სიგანე კი ისეთი უნდა იყოს, რომ ქვევრების მუცლებს შორის მანძილი 20 — 30 სმ მაინც დარჩეს.

თავიდანვე ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: ჭაჭაზე ტკბილის დუღილი ძალას ატანს ქვევრის კედლებს და, თუ კედლის რომელიმე ადგილი საკმაოდ გამომწვარი არ არის, ან რომელიმე ადგილას უხარისხო თიხაა შეყოლილი,

შესაძლებელია დუღილის დროს ქვევრი გასკდეს და ჰუნაზ
ლაურებელი ზარალი მივიღოთ. ესეც რომ არა, ზოგიერთი
ნაკლებად გამომწვარი ჭურჭელი დიდი რაოდენობით შეიშ-
რობს ლფინოს და ხანგრძლივად ლვინის შენახვის დროს საგრა-




ნახ. 1. გარძია. ძველი ქვევრების მარანი (XII ს.).

ძნობლად გაზრდის დანაკარგებს. არ არის გამორიცხული,
აგრეთვე, ქვევრების დაზიანება მიწისძვრის შემთხვევაშიც.
ამ საზიანო მოვლენების ასაცილებლად, მიწაში ჩასაყრელად
გამზადებული ქვევრები მიზანშეწონილია გარედან შემოცე-
ტიზე ან შეილესოს კირ-დუღაბის ხსნარით.

თუ ქვევრს აქვს დაზიანების ნიშნები ნაბზარების ან სხვა-
თა სახით, მაშინ შემოცემენტებამდე საჭიროა მას მომსხო
მავთულისაგან გაუქეთდეს არმატურა. ამ მიზნით ქუსლთან,
ყელთან და მუცელზე ქვევრი უნდა შემოისალტოს მავთულის
რგოლებით, ხოლო სიგრძეში კი, ქუსლიდან ყელამდე, სალ-
ტებზე გამობმით გადავჭიმოთ მავთულები ისე, რომ მუცლის
არეში ისინი 10—15 სმ-ით იყვნენ დაცილებული ერთიმეორეს
(ნახ. 2). ამგვარად შეკრული ქვევრები თხრილში უნდა გან-
ვალაგოთ და იქვე გარედან შემოვაცემენტოთ.

გამზადებული ქვევრები უნდა გავანაწილოთ რიგებას ისე, რომ მუცლებს შორის დარჩეს 20—30 სმ მანძილი, ამასთან, ქუსლებს ქვეშ დავუდვათ საყრდენად ბრტყელი ქვები. ამის




ნახ. 2. ქვევრი მავთულის არმატურით.

შემდეგ მსუბუქად შემოვტკეპნით მიწას, რომ ქვევრები არ წამოიქცნენ, და ვიწყებთ მათ გასჭორებას. გასჭორება ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ ქვევრების პირები ერთ სიმაღლეზე იყოს, ხოლო თვითეული ქვევრი ზუსტად ვერტიკალურად იდგეს. გასჭორების შემდეგ ვიწყებთ ქვევრებს შორის მიწის დატკეპნას, რაც შეიძლება კარგად და თანაბრად.

ქვევრების გამოყენება, როგორც ცნობილია, მრავალ ათეულ წლობით შეიძლება. ამიტომ არ უნდა დავიშუროთ მარნისათვის გამძლე ქვიტკირის შენობის აგება (ნახ. 3). თუ ამის საშუალება არ არის, მარანს უნდა გაცუკეთოთ ერთიანი საძირკველი, ამოვაშენოთ აგურის სვეტები ერთმანეთისა-გან 2—2,5 მეტრის დაშორებით და გადაგხუროთ ზევიდან. სასურველია სვეტებს შორის ამოვაშენოთ აგურნახევარი სის-ქის კედელი და შიგ დაფატანოთ ფანჯრები. მზის პირდაპი-რი სხივებისაგან მოდულარი მასალის დაცვისათვის მიზანშე-წონილია ფანჯრები ჭერთან ახლოს დაეტანოს.

ტკბილის დუღილის შედეგად დიდი რაოდენობით გრძელებული ყოფა ნახშირორეანგა გაზი, რომელიც მავნებელია მარანში მომუშავეთა ჯანმრთელობისათვის. ამ გაზისაგან შენობის გა-




ნახ. 3. გურჯაანის რაიკომბინატის ქვევრების მარნის ხედი.

სათავისუფლებლად კედლებში, იატაკის გასწვრივ, უნდა დავტოვოთ გასანიავებელი ხერელები.

სასურველია მარანში ცემენტის ან ასფალტის იატაკის დაგება. სანამ იატაკს დავაგებდეთ, თვითეული ქვევრის პირის ირგვლივ უნდა ამოვაშენოთ 25—30 სმ სიმაღლის აგურის წრიული რკალი და სუფთად შევლესოთ იგი ცემენტის ხსნარით. უფრო კარგია სპეციალურად დამზადებული თიხის რკალები, რომლებიც აგრეთვე იატაკის დაგებამდე უნდა მოერგოს ქვევრებს და მკვიდრად დაცემენტდეს (ნახ. 4). რკალების დანიშნულება ის არის, რომ სპირტოვანი დუღილის დროს აქაფებული მასა ქვევრიდან იატაკზე არ გადმოიღვაროს. კარგია, თუ ქვევრის რიგთა შორის იატაკზე დავტოვებთ საკანალიზაციო ხერელისაკენ დაქანებულ სიგრძივ ამონალარს. ამ ღარით მარნიდან გავა ნახმარი, უსუფთაო წყალი.

მარნის კედლები უნდა შეიღესოს ცემენტით ან კირის სნარით, ხოლო შემდეგ გათეთრდეს კირის რძით. კედლების შეთეთრება სავალდებულოა ყოველწლიურად, რადგან კირის რძე საუკეთესო საშუალებაა იმ თვალით უხილავი სოკოებისა ზა ობების მოსასპობად, რომელიც მრავლად ბუდობენ მარნის კედლებზე და ლვინოში მოხვედრის შემთხვევაში არა-სასურველ ავადმყოფურ მოვლენებს იწვევენ.



რა. 4. თიხის რკალები ქვევრებზე.


მარანი შეიძლება გადავხუროთ კურამიტით, თუნუქით ან სხვა მასალით. სახურავებს შორის უპირატესობა კრამიტს ენიჭება; ის მარანს უფრო გრილად ინახავს.

თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, მარანში წყალგაყვანილობისა და ელექტროქსელის გაკეთებაც.

გარანში სახმარი იარღ-განვანები

ქვევრების სარეცხად ძირითადად კრაზანა, თაგვისარა და სარცხი იხმარება (ნახ. 5.).

კრაზანა მრავლწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც ველად იზრდება. მას ფესვებიანად გლეჯენ აგვისტოს ბოლო რიცხვებში, როდესაც საკმაოდ თესლ-შემოსულია. შეჭქნობის მიზნით მას 2—3 დღით გაპფენენ ჩრდილში, აცლიან ფოთლებს, ზედმეტ ტოტებს და სიგრძის მიხედვით აწყობენ. შესაკრავ კონას შუაზე ყოფენ, ერთი ნახევრის ბოლოებს მეორე ნახევრის ძირებისაკენ აქცევენ და შუა წელზე გადაგრეხენ ისეთნაირად, რომ ძირები ორთავ მხარეს ერთსა და იმავე



ნახ. 5. ქვევრების მარანში სახმარი იარაღები:

- 1—ცილინდრული ბადე, 2—დასარევები, 3—ამოსაშრობი (ობილო), 4—კრაზანა, 5—სარცხი, 6—ქვევრის პირი, 7—საჭრები მანქანა (შიგნით).

გვერდზე მოექცეს. შემდეგ ნალისებურად ხრიან და წრელით ან ღვედეკეცით ჰქონდენ ისე, რომ ბოლოებს შორის 20—25 სმ მანძილი იყოს. სიმაგრისათვის კრაზანის შუა წელზე, მოხრის აღილას, წნელს ან ღვედეცს ახვევენ. ქვევრი ირეცხება კრაზანის ფესვებით, ხოლო დატოტვილი ბოლოებით კი ხდება ფსკერიდან კედლებზე წყლის აშხეფვა. კრაზანა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იხმარება.

თაგვისარა მარადმწვანე მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარეა. მას ჭრიან, ცოცხისებურად ჰქონდენ და 30—40 სმ სიგრძის ხის ტარზე აგებენ. ქვევრი ირეცხება თაგვისარას ხშირად დატოტვილი ბოლოებით. გარდა ამისა დასავლეთ საქართველოში დიდი ტევადობის ქვევრებს ბალამწარის ქერქისაგან გაკეთებული „სარცხითაც“ რეცხენ. სარცხი მზადდება 15 სმ სიგრძე-სიგანის ქერქებისაგან. ამ ქერქებს შუა ადგილას ამოჭრიან, 10—12 სმ სისქის ფენად დაალაგებენ ერთმანეთზე და გაუყრიან 40 სმ სიგრძის ტარს ისე, რომ ქერქი მოთავსდეს ტარის შუანაწილში გაკეთებულ ამონაჭდევში. ტარს ამონაჭდევის ერთ მხარეს აქვს ხის სამაგრი ქერქის დასაჭერად, ხოლო მეორე მხრიდან—წნელისაგან გაკეთებული შაიბისებური „ჩრიჩვალი“, რომლითაც ერთმანეთზე რიდენილი ქერქები მჭიდროდ იკვრება. ამნაირად გაკეთებული სარცხი მომუშავეს სახელურებით უჭირავს და ქვევრში წინასწარ ჩასხმული წყლის ხშირი აშხეფვით ხეხავს კედლებს.

მცირე ტევადობის ქვევრები (ქოცოები), რომლებშიც მომუშავე ვერ მოთავსდება, ირეცხება მაღლიდან იმავე თაგვისარასა და სარცხის საშუალებით. ამ შემთხვევისათვის თაგვისარასა და სარცხს 2 მეტრამდე სიგრძის ხის ტარი უკეთდება.

იმისათვის, რომ სარცხის ტარის ხახუნით ქვევრებს პირი არ დაუზიანდეს, ხმარობენ ეგრეთ წოდებულ „ქვევრის პირს“. იგი წარმოადგენს 60—80 სმ სიგრძისა და 20—25 სმ სიგანის ფიცარს, რომელიც შუაში ოთხუთხად ან წრიულად არის ამოჭრილი (ნახ. 5). ეს ფიცარი თავსდება ქვევრზე, ზედ მომუშავე დგება და ხვრელში სარცხის მოძრაობით აწირმოებს ქვევრის რეცხვას.

ქოცოებიდან ნარეცხი წყლის ამოლება ხდება ხაპირზე. წარმოადგენს ყელიანი გოგრისაგან გაკეთებულ ჭურჭელს, რომელიც მოძრავადა მიბმული 2 მეტრამდე სიგრძის ორ წვრილ ჯოხზე. ხაპირი შეიძლება გაკეთდეს მუავათგამძლე ლითონის (მოკალული სპილენძის, უფანგავი ფოლადის) ჭურჭლისგანაც.

ქვევრების ფსკერზე ჩაწრეტილი ნარეცხი წყლის ამოსაშრობად იხმარება ეგრეთ წოდებული „ობსილო“, რომელიც 2—2,5 მეტრი სიგრძის ხის ტარზე მიმაგრებულ ტილოს ნაშერს წარმოადგენს (ნახ. 5).

ყურძნის გადასამუშავებლად ქვევრების მარანში ნავი ან საჭყლეტი მახქანები იხმარება. ნავი (საწნახელი) ძველი მარნების აუცილებელ მოწყობილობას შეადგენდა (ნახ. 6), ამჟამად კი იგი მხოლოდ აქა-იქ გვხვდება. ნავი კეთდებოდა ცაცხვის, თელის ან მუხის ხისგან, შემდგომ ხანებში კი—ცემენტისაგანაც. ხის ნავი წარმოადგენს გრძელსა და საკმაოდ მსხვილ, უფრო ხშირად ოთხუთხედი ფორმის ამოლარულ მორს, რომლის ბოლოები ამოფიცრულია. ნავის ის გვერდი, რომელიც შენობის კედელს ეკვრის, ამაღლებულია ფიცრებით, რათა ნავის თავზე მომდგარი ყურძენი არ შეეხს მარნის კედელს. ნავს შიგნიდან ფსკერის მთელ სიგრძეზე მიჭყვება მცირე ამონალარი, რომელიც ტკბილის გასავლელისაკენ არის დაქანებული. ნავი სხვადასხვა ტევადობისაა და ხშირად, თუ ის გრძელია, გადატიხრულია ორ განყოფილებად—ერთი თეთრი და მეორე წითელი ყურძნისათვის.

ნავის მოწყობილობას შეადგენს: 1. ტოპკირი, რომელიც დაწნულ ლასტს წარმოადგენს. ტოპკირის სიგანე ნავის შიგნითა განის ტოლი უნდა იყოს, სიგრძე კი 2,5 მეტრამდე. ერთ ნავს, სიგრძის მიხედვით, შეიძლება რამოდენიმე ტოპკირი ჰქონდეს; 2. რამოდენიმე ცალი სხვადასხვა სიგრძის ხის ღარი; 3. ჩადი და 4. ხის ნიჩაფი.

ყურძნის ჩაყრამდე ნავი წინასწარ გულდასმით ირეცხება, შემდეგ მასში იმართება გასუფთავებული ტოპკირები და მონაბეჭდება. მოსაჩადად იხმარება ხშირტოტებიანი უსუნო სხვადასხვა მცენარე—თვით ჩადი, გვიმრა და სხვა. საჩადე მასა-

ლას რთველის დროს ჭრიან და კარგად რეცხავენ. ნავშავებისა—
მართული მოჩაღული ტოპკირი ფილტრის როლს ასრულებს—
ის აკავებს ჭაჭას და შეყოლილი ნაჭილაკებისაგან ასუფთა-
ვებს გამოყოფილ ტკბილს. ნავს ტკბილის გამოსაღენ მიღწე
ედგმება ლარი, რომელიც ქვევრისაკენ არის მიმართული. ხის
ნიჩაბი იხმარება ნავში დაჭყლეტილი ღურდოსა და ჭაჭის
გადასაბრუნებლად და ნავის განსატევირთავად.



ნახ. 6. ყურძნის გადამუშავება ძველი წესით.

ცემენტის საწნახელი უფრო გვიან შემოვიდა ხმარებაში. იგი ეწყობა ისევე, როგორც ხის ნავი, ოლონდ, ამ უკანასკნე-
ლისაგან განსხვავებით, ცემენტის საწნახელს, თუ ის ახლად
გაკეთებულია, გარდა კარგად გარეცხვისა, ესაჭიროება აგრე-
თვე ღვინის მჟავით ან ისვრიმით დამუშავება, წინააღმდეგ
შემთხვევაში ის ტკბილს მჟავიანობას შეუმცირებს, ღვინოს
ცემენტის გემოს მისცემს და შეიძლება გააშავოს კიდევაც.
ნავში ყურძნის დაჭყლეტა ფეხით წარმოებს.

როგორია ნავის, როგორც ყურძნის გადასამუშავებელი
საშუალების, როლი, ვთქვათ, კახური ტიპის ღვინოების ჩა-
მოყალიბებისა და განვითარების საქმეში?

დაკრეფილ ყურძენს ძველად გოდრებით ეზიდებოდნენ შარანში და წინასწარ გამზადებულ ნავში ყრიდნენ. გადამუშავდას, ე. ი. ფეხებით დაჭყლეტას, საღამო ხანს 9—10 საათი-დან იწყებდნენ. ჭყლეტის პროცესში დურდოს 3—4 ჯერ აბრუნებდნენ ნიჩბით, რითაც უზრუნველყოფდნენ ყურძნის თანაბრად დაჭყლეტას და აჩქარებდნენ დურდოსაგან ტკბილის გამოწრეტას.

ყურძნის წურვა თითქმის ღამის პირველ საათამდე გრძელდებოდა, რის შემდეგაც თეთრი ყურძნის ჭაჭას აჩქარებდნენ და მეორე დღემდე ასე ტოვებდნენ. მეორე დღეს, დაახლოებით დილის 7—8 საათზე, გამოწრეტილ ჭაჭას ქვევრებში მოთავსებულ ტკბილს უნაწილებდნენ. რაც შეეხება წითელ ჯიშებს (საფერავი და სხვა), მათ ჭაჭას, კლერტითან ერთად, ყურძნის დაჭყლეტვის დამთავრებისთანავე უმატებდნენ ტკბილს. საირტოვანი დუღილი მიმდინარეობდა ქვევრებში—დურდოს ხშირი დარევის პირობებში.

ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ კახეთის რამდენიმე ობიექტზე ცდის მიზნით ვაწარმოეთ ნავში ყურძნის გადამუშავება ამ წესის ძირითადი მომენტების დაცვით და დავაყენეთ კახური ტიპის ღვინოები. პარალელურად, თანამედროვე წესით დაყენებულ იქნა საკონტროლო ნიმუშებიც. დაკვირვებებმა და ღვინოების ანალიზებმა მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1. ნავში ყურძნის გადამუშავების დროს ხდება მარცვლების თანაბარი და ინტენსიური დაჭყლეტა-გამოწურვა; ამ პირობებში ძლიერ მცირედ ზიანდება კლერტი ჭაჭის გადაბრუნების დროს და თითქმის სულ არ ზიანდება წიპტა;

2. ნავში გადამუშავებისას აჩქარილ თეთრი ყურძნის ჭაჭაში ინტენსიურად მიმდინარეობს ფერმენტაცია, ანუ დაფანგვის პროცესები. ჭაჭა ღია ფერიდან მუქ-მიხაკისფერში გადადის;

3. ტკბილის ალკოჰოლური დუღილი, საკონტროლოსთან შედარებით, უფრო სწრაფად და ბოლომდე მიმდინარეობს დაფანგულ ჭაჭაზე;

4. კარგად დაჭყლეტილ, გამოწურულ და ფერმენტირებულ ჭაჭაზე ტკბილის დუღილის შედეგად მიიღება უფრო ინ-

ტენისური შეფერვის ღვინო, რომელსაც საკონტროლოს მიერადებით უფრო დიდი სხეული, სირბილე და ჰარმონიულობა ახასიათებს.

5. წითელი ღვინოების დამზადებისას გამართლებულია ძევლი წესი, ე. ი. ყურძნის დაჭყლეტისთანავე ტკბილზე ჭაჭის მიმატება, ვინაიდან ჭაჭის დაუანგვა წითელ ღვინოებს ფერს უმცირებს და სიძელგეს და სიუხეშეს სძენს.

მაგრამ ნავში ყურძნის გადამუშავებას აქვს მთელი რიგი უარყოფითი მხარე, სახელდობრ ის, რომ:

1. იგი ეკონომიური თვალსაზრისით ნაკლებად რენტაბელურია. ამ წესით მიღებული პროდუქციის თვითლირებულება საგრძნობლად მეტია;


2. ამ წესის დროს ყოველთვის ირლვევა სანიტარული და ჰიგიენური პირობები, რაც უარყოფითად მოქმედებს ღვინოების ხარისხზე;

3. ძნელდება ყურძნის გადამუშავების სრული მექანიზაცია;

4. ნავი მიუღებელია მსხვილ წარმოებაში, როცა ყურძნი დიდი რაოდენობით უნდა გადამუშავდეს.

ამის გამო ქვევრების თანამედროვე მარნებში ნავის მავიერ სხვადასხვა გამტარუნარიანობის ყურძნის საჭყლეტი მანქანები იხმარება.

ყურძნის საჭყლეტი მანქანა (ნახ. 7) შედგება საჭყლეტი მექანიზმის, ხვიმირისა და დგარისაგან. საჭყლეტი მექანიზმის მთავარი სამუშაო ნაწილია თუჯის ორი დოლი, რომლებიც ღრეულებით ჩადგმულია რკინის ჩარჩოში და საკისარებულის) დოლები სახელურიანი მქნევარასა (თვალის) და კბილანური გადაცემის საშუალებით ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ. დოლები, ჩვეულებრივ, დაღარულია, რათა ბრუნვის დროს აღვილად მოხდეს



ნახ. 7. ყურძნის საჭყლეტი მანქანა უდგაროდ.


ლის) და კბილანური გადაცემის საშუალებით ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობენ. დოლები, ჩვეულებრივ, დაღარულია, რათა ბრუნვის დროს აღვილად მოხდეს



მტევნების ჩათრევა. დოლებს შუა ღრეჩის გადიდების შემცირებისათვის ერთ-ერთ მათგანზე სპეციალური ქანჩია დაყენებული. იმისათვის, რომ მანქანაში შემთხვევით მოხველილმა მკვრივმა საგანმა არ დააზიანოს დოლები, ისინი ერთ-მანეთთან ამსხლეტით ან ზამბარით არიან დაკავშირებულნი.

ხვიმირა, ჩვეულებრივ, ხისაგან კეთდება, მაგრამ დიდი გამტარუნარიანობის ყურძნის გადასამუშავებელ მანქანებში ლითონისაგანაც აკეთებენ; ამ შემთხვევაში ხვიმირა დაფარულია მინანქრით ან მუავათგამძლე ნეიტრალური თვისების სწვა რომელიმე საღებავით.

ქვევრებზე სახმარი ყურძნის საჭყლეტი მანქანა იდგმება ხისგან გაკეთებულ მკვიდრ დგარზე, ქვემოდან კი, დგარის შიგნით, მას მიამაგრებენ ხის ფიცრებისაგან შეკრულ, წაქვეთილი კონუსის ფორმის ძაბრს — ქვევრში დურდოს ჩასაყრელად.



ნახ. 8. გაუმჯობესებული ყურძნის საჭყლეტი მანქანა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიის მებალეობის, მეცნახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის მიერ გაუმჯობესებულ იქნა ყურძნის საჭყლეტი ძველი სისტემის მანქანა. გაუმჯობესებული მანქანა (ნახ. 8) ხასიათდება შემდეგი დაღებითი შაჩენებლებით:

1. სამუშაოდ გამოსაყენებელია როგორც ქვევრებზე, ისე ჩანებზე; დგარის ნაცვლად მას აქვს აღვილად სახსნელი ფეხები;

2. გამართული აქვს ყურძნის ამრევ-მიმწოდებელი, რის გამოც საჭირო აღარ არის აღრე ამ ოპერაციებზე დასაქმებული მუშის შრომა;

3. მანქანა მუშაობს ელექტროენერგიით, რისთვისაც აქვს 1,7 კილოვატი სიმძლავრის ელექტროძრავა სოლურ-ლველური გადაცემით. თუ წარმოებას არ გააჩნია ელექტროენერგია, მანქანა შესაძლებელია ხელითაც გამუშაოთ;

4. ხსენებული კონსტრუქციული ცვლილებების შედეგად ელექტროდენით მუშაობისას მანქანის გამტარუნარიანობა სრული დატვირთვის დროს საშუალოდ 4–5 ტონაა საათში, ე. ი. ძველ მანქანასთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტი.


წითელი, ხოლო ზოგჯერ თეთრი ყურძნის გადამუშავებისას, მით უფრო თუ მოსავალი დაზიანებულია მავნებლებით, ავალმყოფობებით ან სეტყვით, აუცილებელია ყურძნიდან კლერტის მოცილება. ამ ოპერაციას ასრულებენ კლერტგამ-ცლელი მანქანები, რომლებიც სხვადასხვა კონსტრუქციისა მზადდება.

კლერტსაცლელი მანქანა (ნახ. 9) ყურძნის საჭყლეტი მანქანისა და კლერტსაცლელის შეერთებით არის კონსტრუირებული. კლერტსაცლელი წარმოადგენს მოკალული ან ბაკელიტით¹ დაფარული ლითონის, უმეტესად თითბერის დაჩრდეტილ ცილინდრს. ნაჩრეტების განი 2–2,5 სმ-ია. ამ ნაჩრეტებში აღვილად გადის დაჭყლეტილი ყურძნის მარცვლები, კლერტი კი ვერ გადის. ცილინდრის ცენტრში ბრუნავს ლერძი, რომელზე-დაც ხრახნისებური მიმართულებით არის დამაგრებული მოკალული ლითონის თათები. მანქანას ქვემოდან მიმაგრებული აქვს ხის კონუსისებური ძაბრი, რომლის განიერი მხარეც ფარიგს კლერტსაცლელ ცილინდრს, ვიწრო მხარე კი მიმართულია დურდოს მიმღებ ჭურჭლისაკენ. გადასამუშავებელი ყურ-

¹ ბაკელიტი—ერთგვარი ლაქია, რომელზედაც ტებილი და დვინოვერ მოქმედებს.

2. ქართული მარანი

ძენი იყრება მანქანის ხეიმირაში, იჭყლიტება დაღარულ დოლებში და ჩადის კლერტსაცლელ ცილინდრში. ცილინდრის ბბრუნავი ლერძი თავის თათებით წარიტაცებს კლერტს და



ნაზ. 9. კლერტსაცლელი მანქანა.


ბრუნვისა და წინწარწევის პროცესში აცლის შერჩენილ ჩენჩის; მარცვლებისაგან განთავისუფლებული კლერტი ცილინდრის ბოლოდან გაზმოიყრება, ტკბილი და ჩენჩი კი, ერთმანეთში შერეული, ხის ძაბრის საშუალებით ქვევრში ჩაღის,

გავრცელებულია ორი ზომის საჭყლეტ-კლერტსაცლელი—71 სმ სიგრძის დოლებიანი, რომელიც საათში 3 ტონამდე ყურძენს ამჟავებს და 90 სმ დოლებიანი—საათში 5 ტონამდე ყურძნის გამტარუნარიანობით.

ჩვენი ქარხნები ამზადებენ უფრო გაუმჯობესებულ მანქანებსაც—ფულოტუმბოებს და ერგატუმბოებს, რომლებიც ამსუბუქებენ აღამიანის შრომას და უფრო მეტი რაოდენობით გადაამჟავებენ ყურძენს.

ფულოტუმბო იგივე საჭყლეტი მანქანაა, რომელსაც იმნაწილში, სადაც დაჭყლეტილი მასა იყრის თავს, დურდოს

გადასაქანი ტუმბო აქვს მოწყობილი. ტუმბოს გამსვლულ
შილზე წამოეცმება რეზინის გრძელი მილი, რომლის საშუა-
ლებითაც შესაძლებელია დურდო გადაეცეს მარანში მოთავ-



ნახ. 10. ფულოტუმბო.

სებულ ყველა საღულარ ჭურჭელს ისე, რომ თვით მანქანა
ერთ ადგილზე იყოს მოთავსებული. ამგვარად, ფულოტუმბო
არის ყურძნის დამჭყლეტი და დურდოს გადამცემი დიდი გამ-
ტარუნარიანობის მანქანა.


ეგრატუმბო ჭარმოადგენს ყურძნის საჭყლეტი მექანიზმის,
კლერტგამცლელისა და დურდოს ავტომატურად გადაცემის
კომბინაციას.

ეს მანქანა ჭყლეტს ყურძენს, აცლის კლერტს და რეზინის მი-
ლით სასურველი მიმართულებით გადაისვრის უქლერტო დურ-
დოს. ესეც ყურძნის დიდი რაოდენობით გადამამუშავებელი
მანქანაა.

ფულოტუმბო, ეგრატუმბო და დიდი ჭარმადობის ყურძ-
ნის საჭყლეტი მანქანები მუშაობენ ელექტროენერგიის ან სხვა
ძრავების (ტრაქტორის, დიზელის) საშუალებით.

ქვევრების მარანში აუცილებელია წინები ანუ საჭაჩავი,
რომელიც აქ, უმთავრესად, ნადული ჭაჭის გამოსაწინეხად იხმა-
რება. რაღაც ნადული ჭაჭა დაუდულარ დურდოსთან შე-
დარებით საგრძნობლად ნაკლებ ძალას საჭიროებს დასაწნე-
ხად, მიზანშეწონილია ასეთ მარნებში გვქონდეს წყვეტილი

მოქმედების კალათიანი წნეხები (ნახ. 11). ამგვარ წნეხები ფართოდ ხმარობენ ხარისხოვანი ღვინოების წარმოებებში. მათ ამზადებენ როგორც ხელით მუშაობისათვის, ასევე ელექტროძრავათი, როგორც ჰიდრაულიკური თავით, ასევე სპეციალური გადამცემი მექანიზმით.



ნახ. 11. ხელით სამუშაო კალათიანი წნები.

ნახევრისაგან შემდგარი ტიხრი, რომელიც გაკეთებულია მუხის ტკეჩებისაგან.

კალათი კეთდება მუხის ხმელი ტკეჩებისაგან. ეს ტკეჩები შურუბებით არის მიმაგრებული რკინის წრიულ სალტეებზე ისე, რომ შიგნითა მხრიდან ტკეჩებს შორის დატოვებულია 0,5 სმ მანძილი. შურუბები ტკეჩები არ უნდა იყოს გასული, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ტკბილთან ან ღვინოსთან შეხებისას არასასურველ შავი ფერის ნაერთს წარმოქმნის, რომელიც პროდუქტზე უარყოფითად მოქმედებს. მცირე ტევადობის წნეხებში კალათი ორი ნახევრისაგან, ხოლო დიდ წნეხებში სამი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილები ერთმანეთთან რკინის სოლებით ან კაუჭებით არის შეერთებული. კალათს, დასაწნები მასალით გაფსების შემდეგ, ზევიდან ვაფარებთ ხის ფიცრების დაფას, რომელიც ორი ნახევრისაგან შედგება. დაფაზე კი, თავის მხრივ, ვალაგებთ ხის კოჭებს, რომლებსაც დამწნები მექანიზმი აწვება. დამწნები მექანიზმი


კალათიანი წნები სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება — ტაფის ანუ ბაქანისაგან, კალათისაგან და დამწნები მექანიზმისაგან. მოძრავ წნეხებში ტაფას თუჯისას, იშვიათად კი ხისას აკეთებენ, ხოლო სტაციონალურ დანადგარებში — ბეტონისას. ტაფის ცენტრში უძრავად არის ჩამაგრებული ხრახნი. ტაფის ზედაპირს ზევიდან ეფარება ორი

ჩამოცმულია ხრახნზე; მისი ქონსტრუქცია სხვადასხვაგვარით შეიძლება იყოს: ხელით სამუშაო წნევებში დამწერები მექანიზმი ბერკეტით ანუ სახელურით მოძრაობს, ავტომატურად მომუშავეებში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის შეიძლება იყოს ჰიდრაულურთავიანი ანდა სპეციალური გადამცემი მექანიზმის საშუალებით ელექტროდენით მუშაობდეს. არის ისეთი კონსტრუქციის წნევებიც, რომლებშიც დამწერები მექანიზმის როლს ასრულებს თვით კალათიანი ტაფა.

ღვინოების გადასალებად ქვევრების მარანში საჭიროა ტუმბო ანუ საქაჩავი. საბჭოთა ქარხნები ამზადებენ სხვადასხვაგვარი კონსტრუქციისა და გამტარუნარიანობის ტუმბოებს. ქვევრებზე სამუშაოდ კარგია ფაფერის სისტემის ტუმბო (ნახ. 12), რომელიც გამოირჩევა მარტივი, მკვიდრი კონსტრუქციით და შეუფერხებელი მუშაობით. ამ ტუმბოს მუშაობა შეიძლება როგორც ხელით, ისე ელექტროძრავითაც.

მარანში სამუშაოდ საჭიროა, ავრეთვე, სხვადასხვა ზომის კასრები, ხის ედროები, მოქალული ლითონის ან ხის ხელჩაფები, სხვადასხვა ზომის ხის გეჯები, ხის ძაბრი, ჯაგრისები, გოგირდის ჩასაბოლებელი და სხვა წვრილი ჭურჭელ-მოწყობილობანი.

ჭაჭილან ღვინის მოხსნის შემდეგ ქვევრში დიდი რაოდენობით რჩება ნახშირორჟანგა გაზი. ეს გაზი აღამიანზე ცუდად მოქმედებს, რის გამოც ჭაჭის ამოსალებად ან გასარეცხად ქვევრში ჩასვლის წინ საჭიროა ამ გაზის ამონიავება. ამ მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ტუმბო და მისი დახმარებით ამოვსრუტოთ გაზი ქვევრიდან, ანდა ჰაეროს ჩატერვით ვაიძულოთ იგი ამოვიდეს ზევით. თუ ტუმბო არა გვაქვს, შეგვიძლია დავამზადოთ მარტივი კონსტრუქციის მანქანა-ვენტილატორი. ასეთი მანქანის ძირითად სამუშაო ნაწილად ჩვეულებრივ იყენებენ ისეთივე ფრთებიან ვენტილატორს,



ნახ. 12 ტუმბო ანუ საქაჩავი.

როგორიც მარცვლეულის საწმენდ-სანიავებელ მანქანებში ჩატარდა. ვენტილატორს ვათავსებთ ნიეკარისებურ ხუფში, რომლის პირიც ქვევრისკენ არის მიმართული. მისი ბრუნვით შეიძლება ზედმეტი ნახშირორეანგისაგან ქვევრის სწრაფად განთავისუფლება.

ამჟამად ჩვენ მიზანს არ შეადგენს მეღვინეობაში ხმარებული ყველა მანქანა-იარაღის დაწვრილებით დახასიათება. გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ ქვევრების მარანში საჭირო საჭყლეტი და საწნეხი მანქანების შერჩევაზე, კერძოდ, კახური ტიპის ღვინოების დასამზადებლად გამოსადეგ მანქანებზე.

კახური ტიპის ღვინოების დაყენების დროს პრაქტიკოსი მეღვინე სპეციალისტების ნაწილი მიზანშეწონილად ცნობს კლერტის გაცლას. მათ მიაჩნიათ, რომ კლერტის გაცლით უფრო ნაზი პროდუქცია მიიღება და, იყენებენ რა სხვადასხვა სისტემის კლერტსაცლელებს, კახური ტიპის ღვინოებს ხშირად უკლერტო ჭაჭაზე აყენებენ. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ კლერტსაცლელ მანქანებში გადამუშავების დროს აღგილი აქვს კლერტის ნაწილობრივ დაწყვეტას და, ამრიგად, მაინც ხდება კლერტის ნაწილების დურდოში შერევა. ამასთან, ყურძნის არათანაბარი მოწოდების დროს აღგილი აქვს დაღარული დოლების ურთიერთ დარტყმებს, რის შედეგადაც წიპწის ნაწილი ზიანდება. რაც უფრო დიდია მანქანის გამტარუნარიანობა და რაც უფრო მეტი ბრუნვათა რიცხვი აქვს მას (სხვადასხვა ტიპის ეგრატუმბოები), მით უფრო მნიშვნელოვანია კლერტის დაწყვეტა და წიპწის დაზიანება. დაქუცმაცებული კლერტიდან და დაზიანებული წიპწიდან კი, როგორც მეღვინე-მეცნიერების პროფ. კ. მოდებაძისა და პროფ. გ. ბერიძის გამოკვლევებით დადასტურდა, უფრო ინტენსიურად ხდება მთრიმლავ ნივთიერებათა გამოწვლილ-ვა (ექსტრაქცია), რის გამოც ასეთ დურდოშე დუღილის შედეგად მიღებული ღვინოები დამახასიათებელ სიძელვეს და სიუხეშეს ღებულობენ. გარდა ამისა, კახური ტიპის ღვინოებზე უარყოფითად მოქმედებს კლერტსაცლელში დაჭყლეტილი ყურძნის ლითონზე შეხებაც. ამასთან, გასათვალის-

წინებელია შემდეგი გარემოებანიც: 1. საღი, მომწიფებულების კლერტის თანდასწრება დუღილში არ ახდენს რაიმე უარყოფით გავლენას ღვინის ხარისხზე; 2. კლერტი, მართალია ამცირებს, თუმც ძლიერ უმნიშვნელოდ, ღვინის სიმაგრეს, წყლის ნაწილის დაკარგვისა და სპირტით გაფლენთის გამო, მაგრამ, სამაგიეროდ, ხელს უწყობს დუღილის ნორმალურად ჩატარებას, ღვინის დაწმენდას და ჭაჭის გამოწენებას; 3. კლერტის გაცლა დაკავშირებულია ტკბილის ერთგვარ დანაკარგებთან და მექანიკური ენერგიის ხარჯვისთან.

ამ მიზეზების გამო კლერტის გაცლა კახური ტიპის ღვინოების დაყენებისას მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. კლერტის გაცლა იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა ყურძენი ნაკლებმომწიფებულია, დაავადებულია მავნებლისგან, ან ძლიერ დაზიანებულია სეტყვისაგან და ამის გამო კლერტის პროცენტული რაოდენობა მარცვლებთან შედარებით ძლიერ გადიდებულია.

ამრიგად, კახური ტიპის ღვინოების დამზადებისას ქვევრების მარანში ყურძნის გადასამუშავებლად უნდა ძირითადად საჭყლეტი მანქანები ვიხშაროთ. ამ წერივ უპირატესობა უნდა მიენიჭოს ფულოტუმბოს, რომელიც ერთი ადგილიდან დურდოს შორს გადატანის საშუალებას იძლევა; კარგ შედეგებს იძლევა, აგრეთვე, წირმოების სიდიდის მიხედვით შერჩეული სხვადასხვა გამტარუნარიანობის საჭყლეტი მანქანები. ამ მანქანებში ყურძნის გატარება სწრაფად ხდება, ხოლო რკინის ნაწილებთან დურდოს შეხება უმნიშვნელოა.

რაც შეხება წნეხებს, უდაო უპირატესობა წყვეტილი მოქმედების კალათიანი წნეხების მხარეზეა; ოღონდ ხმარებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი კონსტრუქცია. ღვინის ხარისხისათვის ყოველთვის ხისა და ცემენტის ტაფიანი წნეხებია კარგი. ლითონის ტაფიანი წნეხები კი გამოუსადეგარია ხარისხოვანი კახური ტიპისა და სხვა ღვინოების დასამზადებლად. ამიტომ იმ ქარხნებმა, რომლებიც ასეთ წნეხებს ამზადებენ, უნდა იზრუნონ, რომ ტაფის ზედაპირი დაფარონ ისეთი ნივთიერებით, რომელიც ღვინოზე უარყოფითად არ იმოქმედებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძალზე უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე ყურძნის საკრეფად და მარანში სახმარად თუნუქის ვედროების გამოყენება. ასეთი ჭურჭლის ხმარება ღვინოს ამდიდრებს რკინით, რომელიც ტანიდებთან ურთიერთობაში, განსაზღვრულ პირობებში, წარმოქმნის რკინა-ტანატის შავი ფერის ნალექს და ღვინოს რკინის ქასის ზაღის საშიშროებას უქმნის. მეღვინეობაში არც ალუმინისა-გან გაკეთებული ჭურჭლის ხმარებაა დასაშვები. გამორკვეულია, რომ ალუმინი იხსნება ღვინოში და ჯანმრთელობისათვის მავნე შენაერთებს იძლევა. ამიტომ, მარანში სამუშაოდ უპირატესობა მუხის ხისგან გაკეთებულ ჭურჭელს ეძლევა. მუხას, სიმკვიდრესა და გამძლეობასთან ერთად, ახასიათებს სპეციფიური თვისებები და ღვინოზე არავითარ უარყოფით გავლენას არ ახდენს.

ყურძნის საკრეფად და გადასატანადაც აგრეთვე ხის ვედროები და ტაგნებია (ტარპები) კარგი. თუ ამის შესაძლებლობა არა გვაქვს, მაშინ რთველში დასაშვებია კალათების და გოდრების ხმარება.

მარნის მომზადება რთველისათვის

რთველის მოახლოვებისას მარნიდან გამოზიდულ უნდა იქნეს ყველა არასტაციონალური ჭურჭელი და მანქანა-იარალი. მარნის კედლები, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, წყალში გახსნილი კირის ხსნარით უნდა შეთეთრდეს. კარგია, თუ კირის რძეს დავუმატებთ წყალში ცალკე გახსნილ შაბიამნის ხსნარს 1% -ის რაოდენობით. ნესტიან კედლებზე ასეთი ხსნარი უკეთ მოქმედებს ობებისა და სხვა მიკრობების წინააღმდეგ.

ტარა-ტაგნები, გოდრები, გოგროხები, კალათები, ხის ვედროები ყურძნის კრეფის დაწყებამდე, თუ საჭიროა, უნდა შეკეთდეს, წყლით კარგად დაირეცხოს და მზა მდგომარეობაში მშრალ ადგილზე შევინახოთ. წნები და საჭყლეტი მანქანა უნდა დაიშალოს, ხის ნაწილები ჯაგრისით კარგად გასუფთავდეს, ხოლო რკინის ნაწილები კი სილით გაიხეხოს.

საჭყლეტი მანქანებისა და ტუმბოს საკისარები უნდა გაიზეთოს.

თუ კასრები ხმარების შემდეგ კარგად იყო მოვლილი, ე. ი. დარეცხილი, გასუფთავებული, გოგირდნახრჩოლები და შენახული, მაშინ მათი გარეცხვა შედარებით იოლია; სალტეების დამაგრებისა და გაუღენთვის შემდეგ გამოვავლებთ ცივ წყალს, ცხელი წყლით გამოვმდულრავთ, შემდეგ სუფთა წყალს გამოვავლებთ, დავწრეტავთ და 8—10 გრამ გოგირდს ვუხრჩოლებთ.

უფრო მეტი შრომა და ყურადღება სჭირდება შმორის სუნიანი, დაძმარებული და დაობებული კასრების გარეცხვას. ასეთი ჭურჭელი ჯერ ცივი და შემდეგ ცხელი წყლით უნდა გაირეცხოს. შემდეგ საჭიროა სოდის 5% -იანი ცხელი ხსნარით 20—30 წუთის განმავლობაში მძლავრი ტალღით რეცხვა. ამის შემდეგ ორჯერ ცხელი წყლით კარგად უნდა გავრეცხოთ და, ბოლოს, გამოვავლოთ ცივი წყალი. თუ ამის შემდეგ ჭურჭელს მაინც შენარჩუნებული ექნა გარეშე სუნი, კვლავ უნდა განვაგრძოთ სოდის ხსნარით რეცხვა ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით. დაწრეტის შემდეგ კასრებს გოგირდი ძლიერად უნდა ეხრჩოლოს.

ხის ახალი ჭურჭლის რეცხვა ასე უნდა ვაწარმოოთ: ჭურჭელი უნდა გავაგსოთ სუფთა წყლით და დავტოვოთ ასე ორი კვირის განმავლობაში, ამასთან ყოველ 2—3 დღეში უნდა ვუცვალოთ წყალი. ამის შემდეგ, თუ ორთქლი გვაქვს, ჭურჭელში წყალი უნდა ავადულოთ ან, თუ ორთქლი არა გვაქვს, ცხელი წყლით გამოვმდულროთ იგი და სოდის 10% -იანი ხსნარით გავრეცხოთ. ამის შემდეგ ცხელი წყლით უნდა ვრეცხოთ მანამ, სანამ ჭურჭლიდან სუფთა ნარეცხი გამოვიდოდეს. საბოლოოდ, ამრიგად გარეცხილ ჭურჭელს უნდა გამოვავლოს ცივი წყალი, დაიწრიტოს და გოგირდი ეხრჩოლოს. სოდით რეცხვის შემდეგ კარგია, თუ ახალ ჭურჭელს გოგირდის სიმუშავითაც დავაძუშავებთ. ამისათვის ხის (და არა ლითონის¹) ჭურჭელში ვაკეთებთ 2%-იან გოგირდმჟავას ხსნარს (ერთ

¹ ლითონის ჭურჭელზე გოგირდის სიმუშავე მოქმედებს, როგორც ლითონის გამხსნელი.

დეკალიტრ წყალს ვუმატებთ 200 გრამ, ან რაც იგივეა, უ 112 მილილიტრ გოგირდის სიმჟავეს). ხსნარის დამზადებისას აუცილებელია გოგირდის სიმჟავე ჩაისხას წყალში და არა პირიქით, რადგან წყლის დასხმის დროს გოგირდმჟავა წარმოქმნის შეცემის, რამაც შესაძლოა ახლომყოფნი დააზიანოს; ხსნარზე მუშაობისას უნდა ვერიდოთ იმასაც, რომ გოგირდის სიმჟავემ არ დაგვწვას კანი და ტანიაცმელი. ამ მჟავის ხსნარით ჭურჭელი 20—30 წუთის განმავლობაში უნდა ირეცხოს.

ხშირია შემთხვევა, როცა იმ ხის ჭურჭელს, რომელშიც წითელი ღვინო ედგათ, ხმარობენ თეთრი ღვინისათვის. ამ შემთხვევაში აუცილებელია ჭურჭლის გაუფერულება. გასაუფერულებლად საჭიროა, რომ ჭურჭელი ჯერ 2% -იანი გოგირდმჟავას ხსნარით გაირეცხოს, შემდეგ კი სოდის 10% -იანი ხსნარით დავამუშაოთ. ამ ოპერაციას გავიმეორებთ, შემდეგ ცხელი წყლით გავრცეხავთ, ორჯერ ცივ წყალს გამოვავლებთ, დავწრეტავთ და გოგირდის ხრჩოლების შემდეგ ჭურჭელიც მზად იქნება სახმარად.

ბოლო ხანებში მეღვინეობაში საქმაო გავრცელებას პოულობს ცემენტის, რკინაბეტონისა და ლითონის ჭურჭელი.

ცემენტის ბუტები შეიძლება აშენდეს აგურით და ქვით; იგი შიგნიდან და გარედან ილესება ცემენტის ხსნარით. ასეთი ჭურჭელი შედარებით ნაკლებსაიმედოა ღვინის დენადობის თვალსაზრისით და მას უმთავრესად ჭაჭის შესანახად იყენებენ. უფრო საიმედოა რკინაბეტონის საღვინე ჭურჭელი, რომელიც უმთავრესად ღვინის მოსავავებლად და საკუპაჟედ იხმარება. რკინაბეტონის ჭურჭელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საღულრადაც უჭაჭოდ დასაყენებელი ღვინოებისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ მისი დაბალი სითბოგამტარობა, რაც დუღილის ტემპერატურის ნორმაზე მეტად გაზრდის საშიშროებას ქმნის. ამიტომ, ამგვარ ჭურჭელში დუღილის დროს მარანი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტემპერატურის სარეგულაციო საშუალებებით.

ცემენტისა და რკინაბეტონის ჭურჭელი შიგნიდან აუცილებლად უნდა დამუშავდეს ღვინის მიმართ გამძლე მასალე-

ბით, ჭინაალმდეგ შემთხვევაში ცემენტი შეამცირებს ღრუბლების მეზანიანობას, მძიმე ლითონებით გაარღიალრებს მას და შესძენს ცემენტის ზაღს, რომლის მოცილებაც თითქმის შუძლებელია. არსებობს ამგვარი ჭურჭლების დამუშავების რამდენიმე საშუალება: ჭურჭლელს შეგნიდან ფარავენ მინის ფილებით, ან ამუშავებენ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებით. უფრო გამჭრლებულია ცემენტის კედლების დამუშავება ღვინის მეზაოთი, რისთვისაც 10%-იან ღვინის მეზას წყალ-ხსნარს სამ დღეში ერთხელ სამ ფენად უსვამენ კედლებს. ღვინის მეზა ცემენტთან ურთიერთქმედებით წარმოქმნის უხსნად ფენას, რომელიც იცავს ღვინოს ცემენტის მავნე მოქმედებისაგან. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს გოგირდის მეზას 10%-იანი ხსნარი, რომელიც ცემენტთან შეხებისას წარმოქმნის ნაკლებნიად ფენას. ეს მეზავები გულმოდგინედ უნდა იქნას წასმული კედლებზე. კედლის თვითეულ კვადრატულ მეტრზე დაახლოებით საჭიროა 40 გრამი ღვინის მეზა ან 10 გრამი გოგირდის სიმებავე. მეზავებით დამუშავების შემდეგ ჭურჭლის კედლები ცივი წყლით უნდა ჩაირეცხოს.

უკანასკნელ ხანებში ცემენტის ჭურჭლებს ამუშავებენ სხვადასხვა შემადგენლობის ლაქებით. მაგალითად, იხმარება ლაქები, რომელთა შრობისათვის საჭიროა მაღალი ტემპერატურა 180—200°. ესენია — ბაკელიტი, გლიფფტალი, „B.F.2“; მაგრამ ამ ლაქებით დამუშავებისას საჭიროა კედლების ხანგრძლივად გაცხელება, რაც ტექნიკურ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, აღნიშნული ლაქები წარმოქმნიან შედარებით ნაკლებმდგრად მტვრევად ფენას, რომლის აღდგენა არც თუ ისე აღვილია.

უფრო პერსპექტიულად თვლიან ჩვეულებრივ ტემპერატურაზე შრობად ლაქს — „ВХЛ—4000.“ ჭურჭლის კედლების ზედაპირს ჭინასწარ ამუშავებენ სილის ნაკადმსროლელი მანქანით ან ზუმფარის ქაღალდით. შემდეგ მას უსვამენ აცეტონს ან სპირტს, რითაც შესაძლო ცხიმიანობისაგან ასუფთავებენ. შემდეგ პულვერიზატორით ან ჯაგრისით კედლებს უსვამენ „ХС—04“ მარკის გრუნტს ანუ ქვეფენს. ამ ოპერაციას იმეორებენ სამჯერ, სამ-სამი საათის ხანგამოშვებით. პარტზე



გაშრობის შემდეგ უსვამენ კიდევ ერთ ფენად ამავე ქვეყნის მიერთება
თან შერეულ ლაქს შეფარდებით 1 : 1-ზე და აცლიან არანაკ-
ლებ სამ საათს. ამის შემდეგ იმავე პულვერიზატორით ან
ჯაგრისით ყოფელ 2—3 საათში გულმოლგინედ ფარავენ კედ-
ლებს „BXЛ—4000“ ლაქის სამი ფენით და გასაშრობად ტო-
ვებენ 10—12 დღეს. ლაქის გაშრობა შეიძლება დავაჩქაროთ
კედლების გაცხელებით 80—85° ტემპერატურამდე 16—20 სა-
ათის განმავლობაში.

თუ ჭურჭლის ხმარების დროს ლაქის ფენა დაზიანდა, მი-
სი შეკეთება შეიძლება ზემოთ აღწერილი წესის დაცვით,
ე. ი. დაზიანებული ადგილი გაიშმინდება აცეტონით ან სპირ-
ტით და გრუნტვის ჩატარების შემდეგ წაესმება ლაქი ჩვეუ-
ლებისამებრ. მხოლოდ უკანასკნელი ფენის გასაშრობად ამ
შემთხვევაში საჭირო იქნება რეფლექტორით ან ცხელი ჰაერით
კედლის გაცხელება 6—8 საათის განმავლობაში 80—85°
ტემპერატურაზე.

ლითონის საღვინე ჭურჭელი კეთდება ჩვეულებრივი ან
უქანგავი ფოლადისაგან ან ლითონთა შენაღნობისაგან, რო-
მელიც ღვინის მიმართ ნეიტრალურია და მდგრადია.

ჩვეულებრივი ფოლადის ცისტერნები შიგნიდან მოპირე-
თებულია მინანქრით. მაგრამ იმის გამო, რომ მინანქარი დარტ-
ყმის მიმართ ნაკლებ გამძლეა, ხოლო დაზიანების დროს
ძნელად შესაკეთებელი, უკანასკნელ ხანებში ლითონის ცის-
ტერნების მოსაპირეთებლად ხმარობენ ცივადშრობის ზემოაღ-
ნიშნულ „BXЛ—4000“ მარკის ლაქს. ამ ლაქით კედლების და-
ფარვა სრულდება იმავე წესით, როგორც ცემენტის ჭურჭ-
ლის შემთხვევაში.

რკინაბეტონისა და ლითონის საღვინე ჭურჭლებს დიდი
ტევადობისას აკეთებენ. ჩვეულებრივ მათი ტევადობა შეად-
გენს 1000—5000 დკლ, ზოგჯერ კი 10000 დკლ-ს და გამოყე-
ნებულია ღვინოების საკუპაჟედ. ამ ჭურჭლების გამოყენება
ღვინოების დასაძველებლად, ცხადია, არ შეიძლება, რაღაც
ამ შემთხვევაში ჰაერის სასარგებლო კონტაქტი ღვინოსთან
მეტისმეტად შეზღუდულია. სამაგიეროდ, ეს ჭურჭლები სულ
უფრო ფართოდ იხმარება ღვინომასალების მოსაკავებლად, შე-

სანახად, საკუპაჟედ, აგრეთვე სადულარად და წარმატებით უდიდეს უცველესობას შესაბამის ხის ტარას. მათი გამოყენება შეიძლება კოშ-ბინირებული დანიშნულების ქართულ მარნებშიც, რომელი შიცუჭაჭოდ დასაყენებელი ღვინოების (ევროპული ტიპის, საკონიაკე და სხვ.) მზადება და ღვინომასალების დიდი კუპაჟებია გათვალისწინებული.

რეინაბეტონის რეზერვუარები ყოველი ხმარების შემდეგ ჯაგრისით გულმოდგინედ ირეცხება. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მათი კარგად გაშრობა და თავიდან ავიცილოთ ობების გაჩენა, ჭურჭლების ზედა და ქვედა კარგები ღია უნდა დავტოვოთ. თუ ჭურჭლები ღია ადგილზე და სიცხის გავლენას განიცდის, მოსალოდნელია ნაბზარების გაჩენა. ამის თავიდან ასაცილებლად რეზერვუარები უნდა ავსებული გვქონდეს წყლით, ამასთან აშმორებისაგან წყლის დასაცავად ყოველ 100 ლიტრზე უნდა დავუმატოთ 8—10 გ კალიუმის პერმანგანატი. შეიძლება აგრეთვე ჭურჭლებში მხოლოდ ნახევარი მეტრის დონეზე დავტოვოთ წყალი, ოლონდ ამ შემთხვევაში ყოველ 100 ლიტრზე დავუმატოთ დაახლოებით 150—200 გრ გოგირდოვანი მუავა ან 0,5—1 კგ ახალი კირი.

თუ რეინაბეტონის რეზერვუარები დიდი ხნის განმავლობაში უხმარი დარჩა, მაშინ გულმოდგინედ გარეცხვის გარდა საჭიროა მისი დეზინფექცია. ამისათვის მინის ან თიხის ჯამით შიგ ათავსებენ 200 მლ-დე ფორმალდეპიდის 40%-იან ხსნარს. ერთი დღე-ლამის შემდეგ ჭურჭელს კვლავ რეცხენ ცივი წყლით, გამოამშრალებენ და გოგირდს უბოლებენ.

უფრო ადვილია ფოლადის მომინანქრებული ჭურჭლის მოვლა. მას რეცხავენ ჩვეულებრივად ცივი და ცხელი წყლით, ზოგჯერ კი წყლით გარეცხვამდე წინასწარ დაამუშავებენ 2,5% სოდის ხსნარით. ლითონის ჭურჭელს არ ეშინია გამოშრობისა და ნაბზარების გაჩენისა, ამიტომ წყლის ჩასხმას იგი არ მოითხოვს, ოლონდ ობების გაჩენის თავიდან ასაცილებლად ყოველი გარეცხვის შემდეგ იგი კარგად უნდა გამოვამშრალოთ.

შემთხვევის როგორც საღვინე ჭურჭელი, მისი დამზადება და გამოყენება

საღვინე ჭურჭლად ქვევრის გამოყენებასთან დაკავშირებულია უძველესი ქართული მაღალხარისხოვანი ღვინოების სხვადასხვა ტიპების შექმნა, მათი ჩამოყალიბება და განვითარება. ასეთ ღვინოებს ეკუთვნის კახური თეთრი და წითელი ღვინო, იმერული თეთრი ღვინო, ატენური ცქრიალა, ბუნებრივად ტკბილი ხვანჭვარა და სხვ.

ქვემოთ ჩვენ ქვევრის თავისებურებებს განვიხილავთ ძირითადად კახური ტიპის ღვინოებთან დაკავშირებით. სახელდობრ, შევეცდებით გავარკვიოთ, რა თავისებურებებით ხასიათდება კახური ტიპის ღვინოები, რა მოთხოვნებს უყენებს ის საღვინე ჭურჭლს, როგორია ქვევრის როლი ამ ტიპის ღვინის ჩამოყალიბებაში, ამ ჭურჭლის პერსპექტივები თანამედროვე მეღვინეობაში და სხვ.

კახური ტიპის ხარისხოვანი თეთრი ღვინო მუქი ჩაისფერისაა, მას აქვს მდიდარი სხეული, შემადგენელ ელემენტთა შორის კარგი შეწყობილობა, ახასიათებს სასიამოვნო მძლავრი სურნელება და კარგი გემოვნებითი თვისებები. ღვინო უნდა შეიცავდეს: სპირტს— $11,5\%$ -დან 14% -მდე, ტიტრულ მჟავიანობას—4 გრ-დან 5,5 გრამამდე ლიტრში, ექსტრაქტს—არანაკლებ 24 გრამისა ლიტრზე. ამასთან მდიდარი უნდა იყოს მთრიმლავი ნივთიერებებით, გლიცერინით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით. დაძველებული ღვინის გასინჯვისას უნდა იგრძნობოდეს პრდუქტის დიდი სხეული, ჰარმონიულობა და ხავერდოვნება; არ უნდა იგრძნობოდეს რომელიმე ელემენტის სიუხეშე, არც რომელიმეს ნაკლოვანება.

ტიპიური კახური წითელი ღვინო უნდა იყოს ძლიერ მუქი, ჩაშავებამდე მისული ფერის, უხვი ექსტრაქტისა და დიდი სიმაგრის მქონე, თუმცა ეს უკანასკნელი ღვინის დალევისას არც კი უნდა იგრძნობოდეს სხვა შემადგენელ ელემენტთა სიუხვის გამო. კარგად უნდა ქონდეს გამოხატული, ისევე როგორც თეთრ ღვინოს, ჯიშური არომატი და დაძველების შემთხვევაში ახასიათებდეს შინაარსიანი, მძლავრი ბუკეთი.

ხარისხოვანი კახური ტიპის ღვინოების ეს თავისებურობებითაც ნი შექმნილია სამამულო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და განვირობებულია ყურძნის გადამუშავებისა და ღვინოების დაყენების სპეციფიკური ტექნოლოგიით. როგორც ცნობილია, ამ ღვინოების ტექნოლოგიის ძირითადი მომენტები შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: რთველი ტარდება იმ დროს, როდესაც ყურძენში (რქაწითელში, საფერავში, მწვანეში და სხვა) შაქრიანობა $20-24\%$, ხოლო საერთო მჟავიანობა $5-6,5$ გრამია ლიტრ ტკბილში; ყურძენი ძველად იჭყლიტებოდა ნავებში, ხოლო ამჟამად საჭყლეტ მანქანაში — კლერტგაუცლელად; ტკბილის სპირტოვანი დუღილი მიმღინარეობს მთლიანად ჭაჭაზე — კლერტის თანდასწრებით; დუღილისათვის დურდოს ემატება წმინდა ან თვითშერჩეული საფუვრების მოდულარი დედო- $3^{\circ}/_0$ -ის რაოდენობით (თვითშერჩეულ საფუვრებში ვგულისხმობთ ისეთ მოდულარ მასას, რომელიც საღი ყურძნის გადამუშავების შედეგად არის მიღებული და მძაფრი დუღილის სტადიაშია. ასეთი დედო შესაძლოა ხმარებულ იქნეს ისეთ წარმოებაში, საღაც საფუვრის წმინდა კულტურის დამზადების შესაძლებლობა არ არის). დუღილის პროცესში გამოყოფილი ნახშირმჟავა გაზის მიერ ამოტივტივებული ჭაჭა რომ მომავალი ღვინის დაავადების მიხეზად არ გახდეს, დღეში რამოდენიმეჯერ ($4-5$ -ჯერ) სისტემატურად წარმოებს დურდოს დარევა სპეციალური ხის სარევით. დარევის დროს არე თავისუფლდება ჭარბი გაზისაგან და საფუარა სოკოები მარაგდება ჰაერით, რაც დუღილის პროცესს აუმჯობესებს. ამასთან დარევის შედეგად ყურძნის მაგარი ნაწილებიდან — ჩენჩოდან, წიპწიდან, კლერტიდან — უფრო $1-2$ წესისურად გადადის ღვინოში სხვადასხვა სასარგებლო ნივთიერებები.

წითელი ღვინო ჭაჭიდან იხსნება მძაფრი დუღილის გავლის შემდეგ, დუღილის დაწყებიდან დაახლოებით მეშვიდე — მერვე დღეს. ამ ხნის განმავლობაში შაქრების უმეტესობა იშლება და მათი ნაშთი $1-1,5\%$ -მდეა დასული, თანაც ამ მცირე სიტკბოს შენარჩუნება გადასალებ ახალგაზრდა ღვინოში დროებით სასარგებლოც კია. ამავე ხანში ღვინო ასწრებს

მიიღოს პიგმენტებით მდიდარ საფერავის ჭაჭიდან საჭულოების და სხვა სასარგებლო ნივთიერებები, და ტანსაც ისრულებს. დაუშვებელია წითელი ღვინის ხანგრძლივად გაჩერება ჭაჭაზე, რადგან საფერავის ყურძნის თავისებურების გამო მატულობს ღვინის სიმწკლარტე და სიუხეშე და უარესდება ფერი. ამ თავისებურებების გამოა, რომ წარმოებაში წითელი ღვინოების დასაყენებლად ქვევრებთან ერთად თავახდილ ჩანებსაც იყენებენ. ასეთი ჩანების ფართო ზედაპირის წყალობით მოდულარ მასას ჭარბად ეხება ჰაერი, ხშირი დარევით ჰაერის ჟანგბადი ადვილად აღწევს ქვედა ფენებშიც, მატულობს დულილის ინტენსიობა, ძლიერდება მოდულარ მასამი სითხის ცირკულაცია და, ამრიგად, შედარებით მოკლე ხანში ხდება საღებავ-ექსტრაქტოგან ნივთიერებათა ღვინოში გადასვლა. იმის გამო, რომ მაჭრის გადაღება ჭაჭიდან 7-8 დღის შემდეგ ხდება, გამორიცხულია აერობიულ მავნე ორგანიზმთა განვითარება, გამრავლება და მათ მიერ ღვინის დაავადების საფრთხე.

რაც შეეხება კახური ტიპის ხარისხოვან თეთრ ღვინოს, ის, როგორც წესი, პირველად ჭაჭაზე უნდა დაიხვეწოს. ე. ი. დულილის შემდეგ გადაუღებლად უნდა დარჩეს მანამდე, სანამ ჭაჭა მთლიანად დაიძირებოდეს და ღვინო გამჭვირვალე გახდებოდეს. ამ გარემოებას მისი მომავალი ღირსებისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება; ღვინის შემადგენელ ელემენტთა შორის მყარდება პირველადი წონასწორობა, კლებულობს სიმწარე, სიუხეშე და შედარებით მოკლე დროში ხდება ღვინის შემდგომი განვითარება და სტაბილური სიწმინდის მიღწევაც. ამ სპეციფიკურობის გამო კახური ტიპის თეთრი ღვინის დაყენება ჩანებში დიდ უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქტის ტიპიურობაზე და მის ხარისხზე.

არ არის მიზანშე, ონილი და საშიშიცაა დულილის დამთავრების შემდეგ ჩანებში ღვინის გაჩერება, ვინაიდან ჰაერის შეხების ფართო ზედაპირზე ფეხს იკიდებენ ბრკის, დაძმარებისა და ღვინის სხვა ავადმყოფობათა გამომწვევი მიკროორგანიზმები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მომავალი პროდუქტის სისალეს. დაავადების ნიშნები პირველ ჩანებში შესაძლებელია.

ლოა შეუმჩნეველიც იყოს, მაგრამ ღვინის განვითარების შემდგომ სტადიებში მოსალოდნელია ავადმყოფობამ თავი იჩინოს და პროდუქტს უარყოფითი დაღი დაასვას. ამის გამო ჩანების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია, რომ მღვრიე ღვინო ღულილის დამთავრებისთანავე მოვხსნათ ჭაჭიდან, რაც იწვევს თეთრი კახური ღვინის ტიპიურობიდან გადახრას და ხარისხის შემცირებას.

ამ მიზეზების გამო ქვევრი ჯერჯერობით ერთადერთ ჭურჭლად ითვლება მაღალხარისხოვანი კახური ტიპის თეთრი ღვინოების დასაყენებლად. შესაფერი და ბუნებრივად ნაკლებად-რყევადი ტემპერატურის წყალობით ქვევრმი, ყველა სხვა სახის საღულარ ჭურჭელთან შედარებით, უკეთ ხორციელდება ტკბილის ალკოჰოლური ღულილი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქვევრის გამოყენებასთან მტკიცედ არის დაკავშირებული ისტორიულად ცნობილი ცერიალი ატენურის, იმერული ტიპის მხურვალე ღვინოების, ბუნებრივი ნახევრად-ტკბილი ხვანჭკარის, ქინძმარაულის, ოჯაღეშის და სხვათა შექმნა-ჩამოყალიბება, მაშინ ცხადი გახდება, თუ რატომ არის საქართველოში ქვევრები მასობრივად გავრცელებული.

გარდა ზემოთქმულისა, ამ საღვინე ჭურჭლის გავრცელება გამართლებულია სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებითაც, როგორც მაგალითად:

ა) ქვევრის გასაკეთებლად საჭირო ნედლეული უხვადაა, აღვილად მოსაპოვებელია და სხვა მასალებთან შედარებით იაფი ჯდება;

ბ) ქვევრის კეთება არ არის დაკავშირებული რაიმე რთულ და ძნელადგანსახორციელებელ ტექნოლოგიურ პროცესთან;

გ) ქვევრის გამოყენება შეიძლება როგორც ღვინის დასაყენებლად, ისე შესანახად და დასამწიფებლადაც;

დ) იგი წარმოადგენს სტაციონალურ ტარას, რომელიც ათეულ და ასეულ წლობით სძლებს:

ე) ქვევრი მიწაშია მოთავსებული, რის გამოც ბუნებრივად არის დაცული ტემპერატურის ისეთი ფარგლები, რომლებიც ოპტიმალურია როგორც ღვინის წარმოშობისათვის (ღულილი, დამაჭრება), ისე მისი განვითარებისათვის;



ვ) მოყვანილობისა და მისი მასალის (თიხის) სპეციული ფუნქციებისა რი თვისებების გამო ქვევრში დაყენებულ ღვინომასალებში კარგად მიღინარეობს დალექვის, დაწმენდისა და დაღვინების პროცესები. ამიტომაც, სხვა საღვინე ჭურჭელთან შედარებით, ქვევრი აღიდებს თავანკარი პირველხარისხოვანი ფრაქციის გამოსავალს;

ზ) ქვევრი ფრიად მარტივ მოთხოვნილებებს უყენებს დამცველ სათავსოს და შენობის სასარგებლო მოცულობის მინიმუმს იკავებს.

ამრიგად, ქვევრი, როგორც საღვინე ჭურჭელი, მეტად ძვირფასი თვისებებით გამოიჩინა, მაგრამ სამწუხაროდ, მისი დამზადება ჯერ კიდევ პუსტარულად წარმოებს, რაც ძლიერ აღიდებს ამ ჭურჭლის თვითლირებულებას. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ დღემდე არ არის განხორციელებული ქვევრის წარმოების ტექნოლოგიაში რაიმე გაუმჯობესება, და არ არის გატარებული მისი მექანიზაცია ან ავტომატიზაცია. უფრო მეტიც, ამ ძვირფასი საღვინე ჭურჭლის წარმოების სტანდარტიზაცია ჯერ კიდევ არ ქცეულა მსჯელობის საგნად და ამჟამადაც თითქმის ისევე მზადდება, როგორც შორეულ წარსულში უმზადებიათ.

ქვევრების დამზადების ხელოვნება, რომელიც კახელი ასტატებისაგან ჩავიწერეთ, მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: საქვევრედ ვარგის საგანგებოდ შერჩეულ თიხამიწას თხრიან, ზოგჯერ ახმობენ, გორუნხების დასაშლელად ბეგვავენ და ხელით გადაკენჭავენ. გასუფთავებულ თეხას დასაზელად ჰყრიან ხის იატაკზე და უმატებენ 30% . გაცხავებულ და გარეცხილ სილას. სილას და თიხას ერთმანეთში მშრალადვე გულმოდვინედ ურევენ და დასალბობად სუფთა წყალს უმატებენ. ამ მდგომარეობაში სილანარევ თიხას ერთ დღე-ლამეს ტოვებენ, რის შემდეგაც ნაპირებიდან ცენტრის მიმართულებით ზელენ ჯერ ნიჩებით, ხოლო შემდეგ შიშველი ფეხებით. ფეხებით ზელვა ანუ დაქუსლვა იწვევს გროვის გაგანიერებას და გაბრტყელებას იქამდე, სანამ მისი სისქე 8—10 სმ-დე დავიღოდეს. ამ გვარად გაბრტყელებულ ნაზელ თიხას თელის ხისგან გაკეთებულ ეგრეთ წოდებულ „ხმლით“ ზოლებად სჭრიან და ნიჩე-



ბით აბრუნებენ. „ხმლის“ სიგრძე 80—100 სმ-ია, სიგანე 10—12 მმ-ია, სისქე 4—5 სმ, ხოლო პრისა 1 სმ. ამ ოპერაციებს, ე. ი. ფეხებით დაზელვას, დაჭრას და გადაბრუნებას, ექვსჯერ ასრულებენ. ამის შემდეგ იმავე „ხმლებით“, დაკეპვის მსგავსად, კიდევ აწარმოებენ თიხის დაზელვას. ამ ოპერაციისაც (ხმლით ზელვა და გადაბრუნება) ექვსჯერ იმეორებენ. კარგად დაზელილ ეგრეთ წოდებულ „ცომის“ ნაჭრებს გრილ ფარდულ-ში გადაიტანენ და ერთმანეთზე დარტყმით გროვად აწყობენ. გროვას შეასველებენ და გარშემო შემოლესავენ. ამით საქვევრე მასალის მომზადებაც მთავრდება. მათგან ქვევრების კეთებას ან მაშინვე იწყებენ, ან არა და ჩალას დააფარებენ, ზემოდან ნაბადს დაადებენ და 10—15 დღის განმავლობაში ინახავენ.

ქვევრის კეთება ძირის მზადებით იწყება. ძირს ამზადებენ ეგრეთ წოდებულ „ჩარხზე“, რომელიც საყრდენზე მოძრავად ჩამოცმულ 25—30 სმ დიამეტრის მქონე წრიულ გლუვ ფიცარს წარმოადგენს. ეს დისკო ღერძზე (საყრდენზე) ტრიალებს. დამზადებულ საქვევრე მასალიდან იღებენ 5—8 კგ თიხის ნაჭრს, ათავსებენ „ჩარხზე“ და ხელით აკეთებენ ქვევრის ქუსლს, რომელზედაც ჯამის ფორმის ამოლრმავებას ქმნიან. შემდეგ მას აგლუვებენ ფიჭვის ხისაგან დამზადებული ფირფიტით, ეგრეთ წოდებული „გონგით“, რომელსაც სავარცხლისებური ფორმა აქვს. გაგლუვების შემდეგ ძირს აფარებენ ძირხვენის ან გოგრის ფოთლებს, რათა მან სინესტე შეინარჩუნოს, და, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ამინდია, 2—3 დღეს აჩერებენ გასამაგრებლად. ერთი მუშა ერთდროულად იწყებს ექვსი ცალი ძირის კეთებას. ამის შემდეგ, მაგიდაზე ქვევრის მასალის გადაზელვით და გორვებით, იწყებენ ეგრეთ წოდებულ „სორსლების“ კეთებას. ქვევრის სიდიდისდა მიხედვით სორსლის სიგრძე არის 60—70 სმ, ხოლო დიამეტრი 6—8 სმ.

ნაწილობრივ შემაგრებულ ძირებს იღებენ, ათავსებენ ოთხუთხად ან მრგვლად ამოჭრილ სკამებზე და სორსლებით შემოავლებენ რკალს. ამასთან დღეში მხოლოდ ორ რკალს აკეთებენ და, ამრიგად, ქვევრის სიმაღლე ყოველ-

დღიურად არაუმეტეს 15-სმ-ით იზრდება, ესეც იმ შეძთხვე-ვაში, თუ ნაკეთობა შემშრალია და ნამატის დამაგრება სა-ეჭვო არ არის. სორსლებით შემოვლებულ რკალებს, გაქარ-ვის ასაცილებლად, ძირხვენის ფოთლებით ფარავენ, სიმაგრი-სათვის კი გარშემო კაკლის ხის მხრალს უჭერენ. ასე თან-დათანობით ზრდიან ნაკეთობას, აგანივრებენ, ქვევრის ფორ-მას აძლევენ, მხრებში ავიწროვებენ, აცლიან გაშრობას და, ბოლოს, პირს მოადგამენ. საბოლოოდ ქვევრი, გონგით გაგლუვებული, ქუსლზე დგას ვერტიკალურად და, რომ არ წამოიქცეს, ირგვლივ ორ-სამგან ქვევრის ნატეხები აქვს მიღ-გმული.

ექვსი ქვევრის აშენებას ერთი ხელოსანი დაახლოებით ორ კვირას უნდება. კარგად გამოშრობის მიზნით ამგვარად ამოყვანილ ქვევრებს, ამინდისდა მიხედვით, ორ კვირამდე და ზოგჯერ მეტ ხანსაც ტოვებენ. იმისათვის, რომ დაიცვან ნა-კეთობა ჰაერის გამკრავი ნაკადისაგან და თავიდან აიცილონ მისი დასკდომა, ფარდულს ირგვლივ ჩალით ხურავენ. გამოშრალი ქვევრები შემდეგ გადააქვთ გამოსაწვავად: ქვევრს ოდნავ მუცელს ქვემოთ შემოაჭერენ სპერიალურ თოკს, რო-მელსაც „ჩათოს“ ეძახიან. ამ თოკზე ასხმულია ერთმახეთისა-გან თანაბარი მანძილით დაშორებული 8—10 ცალი 2 მეტრი სიგრძის მხრალები ან თოკები. ჩათოს შემოურიგდებიან მუ-შები, ქვევრს მაღლა თანაბრად სწევენ და ნელი სცლით მიაქვთ ქურაში.

ქურა წარმოადგენს ოთხუთხ შენობას, რომელიც ოვა-ლური ფორმის თაღით არის გადახურული. საშუალო ზომის ქურის სიგრძე 6 მეტრია, სიგანე 4—5 მეტრი, ხოლო სიმაღ-ლე 3 მეტრი. ამ ზომის ქურაში თავსდება 6 ცალი 200 დე-კალიტრამდე ტევადობის ქვევრი, ხოლო შუალედებში დარ-ჩენილ სივრცეს პატარა ქვევრებით—ქოცოებით ავსებენ. ქუ-რაში ქვევრები იდგმება თიხისაგან გაკეთებულ და გამომწვარ ქუსლის ჩასადგმელ ეგრეთ წოდებულ „კოლტებში“ ან ბრტყელ ქვებზე. ქვევრი უნდა იდგეს ქუსლით, ზუსტად ვერტიკალუ-რად. ქურის კარებს ამოაშენებენ აგურით, რომელთა შემკვ-რელ ხსნარად ცეცხლგამძლე ლამიანი თიხა იხმარება. ამგვა-

რად გამართულ ქურას ანთებენ მის ქვეშ მოთავსებული პირებით. საწვავად ხმარობენ რბილი ჯიშების შეშას— მურყანს, წნორს, ვერხვს და სხვ. პირველად საცეცხლურის პირში შეუნთებენ ფუტურო შეშას. ბოლი საცეცხლურის მიღებით უკანა მხარეს მიემართება და ქურაში ზევიდან ჩადის.

ქვევრების გაბოლვას სამ დღეს ანდომებენ, რის შემდეგაც უფრო გრძელი შეშების შეკეთებით ცეცხლს თანდათანობით აძლიერებენ. ქურის შიგნით ტემპერატურა თანდათან მაღლა იწვევს და აღწევს $900-1000^{\circ}$ -დე. ამ დროს ქვევრები ჯერ წითლდება და შემდეგ ქვერცხის გულისფრად გარვარდება. ასეთ სივარვარეს ქვევრების „დუღილს“ ეძახიან.

გამოწვას ექვს დღეს ანდომებენ, შემდეგ კი ცეცხლს ანელებენ და სამი დღის განმავლობაში ქურა ცივდება. შემდეგ ქურას ხსნიან, ქვევრები გამოაქვთ და თბილ მდგომარეობაში— ვე სუფთა წყლით შიგნიდან და გარედან კარგად შეასველებენ. ამ პროცესს ქვევრის „წრთობა“ ეწოდება. ამით ქვევრების გაეთება მთავრდება.

ამრიგად, როგორც ქვევრის კეთების იქ აღწერილი წესიდან ჩანს, ეს საღვინე ჭურჭელი ჯერ კიდევ სრულიად პრო- მიტიულად, ხელით კეთდება. ამიტომაც, ქვევრის თვითორე- ბულება საქმიან დიდია, რაც საბოლოო ჯაჭმი ამცირებს მისი წარმოების მასშტაბს. უდაოა, რომ ქვევრის წარმოების გაუმ- ჯობესება, მის ტექნოლოგიაში რაციონალურ წინადადებათა დანერგვა, პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაციის ფარ- თო გამოყენება და შრომის ორგანიზაციის მოქნილი ფორმე- ბის განხორციელება, საშუალებას მოვალეობის უხვად მოვამარა- გოთ იატი და სამედო საღვინე ტარით ღვინის წარმოების ორგანიზაციები და საკოლმეურნეო მარნები.

ქვევრის სახურავი მზადდება მაგარი ჯიშის ქვისაგან, რო- მელსაც ბრტყელ ფენებად დაყოფენ. სარქველი შეიძლება ცემენ- ტისგანაც გაკეთდეს. ამისათვის კასრის სასალტე რკინას შევ- კრავთ წრედ იმგვარად, რომ მისი დიამეტრი $10-12$ -სმ-ით იყოს მეტი ქვევრის პირის დიამეტრზე. სარქველის სიმაგრი- სა და მეტი გამძლეობის მიზნით, წრედ შეკრულ სალტეს გუ- კეთებთ მსხვილი მავთულის ჩონჩხს, ვათავსებთ სწორ ზე-

დაბირზე და ამოვავსებთ ცემენტის ხსნარით. ხსნარი უფრო შედგებოდეს სამი წილი გარეცხილი ქვიშის, ერთი წილი გაცრილი ცემენტისა და წყლის ნარევისაგან. ამგვარად დამზადებულ სარქველს 4—5 დღის განმავლობაში ვტოვებთ გასაშრობად და შემდეგ აზელილი ცემენტით ორივე პირს შევულესავთ.

ახალ ქვევრში ღვინის დაყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან გამოწვის დროს მის კედლებში უამრავი ფორი რჩება, რომელიც ითლად გაფონავს ღვინო და დიდ დანაკარგებს ექნება ადგილი. ამის თავიდან ასაცილებლად ახალ ქვევრებს ამუშავებენ თხის ან ძროხის ქონით. ეს ასე ხდება: ქვევრში ანთებენ წალამს, ფიჩებს ან ჩალას და ახურებენ კედლებს. ნამწვის გამოსუფთავების შემდეგ შიგ ა.ავესებენ 2—3 კგ სუფთა ახალგამომდნარ ქონს. სიმურღვალისაგან გამდნარ ქონს ჯოხზე დახვეული სუფთა ტილოს ნაჭერით ქვევრის კედლებს გულმოდგინედ უსვამენ. გაძლინარი ქონი შედის კედლებში დარჩენილ ფორებში და გაცივების შემდეგ მკვრივდება, რითაც ისპობა ღვინის გაფონვის შესაძლებლობა. გაქონილ ქვევრს რაც შეიძლება ჩქარა ათავსებენ მიწაში, რადგან ცხელი ამინდების გავლენით მაღლამყოფ ქვევრში ქონი შეიძლება დამძალდეს, რაც უარყოფითად იმოქმედებს ღვინზე. ძირითადად, სწორედ ქონის დამძალება ან უხარისხობაა იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი ქვევრი არასასიამოვნო გემოს აძლევს ღვინოს. ეს, მართალია, იშვიათად ხდება, მაგრამ თითქმის მუდმივად ახასიათებს ხოლმე ასეთ ქვევრებს და მათ თითქმის ვერაფერს შველის გარეცხვა. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი შეცდომით ფიქრობს, თითქოს ასეთი მუდმივი ცუდი გემოს მიზეზი იყოს საქვევრე მასალის მოზელვა აშშორებულ წყალში. შმორისა და ლპობის გამომწვევი მიზეზი, როგორც ცნობილია, სხვდასხვა სახის მიეროორგანიზმებია. ასეთი მიერობები და მათ მიერ წარმოქმნილი არასასიამოვნო სუნის მქონე სხვადასხვა ორგანული შენაერთები კი, ცხადია, ვერ გადარჩებიან ქვევრის გამოწვის დროს, როცა ტემპერატურა 900° — 1000° აღწევს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქვევრის დამზადებისათვის უვარგისი წყალი

ვიხმაროთ. პირიქით, წარმოების ჰიგიენა მოითხოვს, უალეშ წყალიც სუფთა იყოს და ქვევრის გასაქონადაც ახალი, სუფთა, უსუნო, გამომდნარი ქონი გამოვიყენოთ.

ახალი ქვევრის დამუშავებისათვის ყველაზე კარგია თაფლის სანთელი, რომელიც ინერტიულია და ამასთან მდგრადიცაა. ამავე მიზნისათვის შესაძლებელია პარაფინის გამოყენებაც. გასანთვლას და პარაფინირებას ისევე ვაწარმოებთ, როგორც ქვევრის გაქონვას.

ზოგიერთის აზრით, ქვევრის უარყოფითი მხარეა ის, რომ თითქოს ძნელი იყოს მასში სისუფთავის დაცვა. ისინი ფიქრობენ, რომ ქვევრის კარგად გარეცხვაც კი ვერ უზრუნველყოფს მასში სათანადო სისუფთავის დაცვას, რის გამოც ქვევრში დაყენებულ ღვინოებს თითქოს ხშირად ქონდეთ არასასიამოვნო გემო. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ისინი ქვევრს ანტიჰიგიენურ ჭურჭლად მიიჩნევენ. მაგრამ ეს მოსაზრება არ არის სწორი. ქვევრის უსუფთაობის მიზეზი არის არა თვით ქვევრი, არამედ, ძირითადად, მისი არაწესიერად მომვლელი.

ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ვინც ქვევრს წესიერად რეცხავს, დაუფლებულია ამ ჭურჭელში ღვინოების დაყენების და მოვლის ხელოვნებას, უფრთხილდება ცარელი ტარის სიჯანსაღეს, ე. ი. კარგად იცნობს ქვევრების მეურნეობას, ის შედეგებსაც შესანიშნავს იღებს—ქვევრებში დაყენებული ღვინო მას ყოველთვის სანაქებო აქვს. რთველის დაწყებამდე 2—3 კვირით ადრე ქვევრები უნდა აიხადოს ჯერ გასანიავებლად და შემდეგ გამოსარეცხად. უპირატესობა ენიჭება ქვევრების არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით რეცხვას. ახდილი ქვევრი ორ-სამ დღეში თავისუფლდება მძაფრი სუნისაგან, რის შემდეგაც ჯაგრისით კარგად უნდა მოვრეცხოთ ქვევრის პირი და ცივი წყალი ამოვავლოთ. ამ ღროს ლბება ჭუჭყი და მოწმდება ქვევრის სიჯანსაღე.

თუ ქვევრს არ ემჩნევა ძმრის, შმორის, ობის ან სხვა დაავადების სუნი და ნიშნები და ამასთან ახალი ნახმარიცაა, მაშინ ვიწყებთ მის რეცხვას შემდეგნაირად: თუ ქვევრი, დიდია, მასში ვასხამთ 3—4 დეკალიტრ სუფთა წყალს, შიგ ჩავ-

დიგართ და კრაზანით ან თაგვისარით ცრეცხავთ მას ზევიდან ქვევით. სასურველია რეცხვა ვაწარმოოთ ჯერ ერთი მიმართულებით, ვთქვათ მარჯვნიდან მარცხნივ, შემდეგ კი საპირისპირო მიმართულებით შემოვატაროთ სარცხი იარაღი ქვევრის ირგვლივ და ა. შ. ამ წესით რეცხვა კარგია იმით, რომ ქვევრის ხორცლიანი ზედაპირი ყოველმხრივ კარგად ამოსუფთავდება. რეცხვის დროს წყლის აშხეფვა ქვევრის კედლებზე ხშირად უნდა ხდებოდეს. თუ ქვევრი პატარაა და მრეცხავი შიგ სამოძრაოდ ვერ მოთავსდება, მაშინ რეცხვა უნდა ვაწარმოოთ ზევიდან—სარცხის საშუალებით. ამასთან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნდა ვიხმაროთ „ქვევრის პირი“, რათა სარცხის ტარის ხახუნით არ დავაზიანოთ ქვევრი.

ამ წესით ქვევრი უნდა გავრცხოთ სამჯერ და დაველოდოთ, სანამ კარგად არ ჩაიწრიტება წყალი, რის შემდეგაც მას ტილოთი ამოვამშრალებთ და გოგირდს ვუხრიოლებთ. ხრიოლების მეორე დღიდან სარქველი ოდნავ მაღლა უნდა ავწიოთ, რათა ქვევრს მიეცეს მუდმივი განიავების საშუალება. უამისოდ მის კედლებზე შერჩენილ სინესტეზე აღვილად ვითარდებიან ობები და გარეცხილ ქვევრს არასასიამოვნო შმორის სუნი გაუჩნდება.

თუ ქვევრი დაფარულია ობით, აქვს ძლიერი შმორის ან ძმრის სუნი, ან კიდევ დიდიხნის უხმარია, მაშინ მათი პირველი რეცხვა აუცილებლად სოდით ან კირის ხსნარით უნდა ჩატარდეს. ისევე როგორც სხვა ჭურჭლებისათვის, ქვევრის სარცხადაც ყველაზე კარგია სოდა. მისგან ვამზადებთ 5—7 პროცენტიან მაღულარ ცხელ ხსნარს, რომელსაც მაშინვე მოვასხურებთ ქვევრის კედლებზე (საშუალო ზომის ქვევრისათვის საკმარისია 2—2,5 დეკალიტრი ასეთი ხსნარი). ხსნარის მოსხურებისთანავე ქვევრს ზევიდან ვაფარებთ ტილოს და ვაცდით 10—15 წუთს. ამის შემდეგ ვიწყებთ ქვევრის რეცხვას იმგვარადვე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული. სოდის ხსნარის ამოღების შემდეგ ქვევრს ორჯერ კარგად ამოვრეცხავთ ცხელი წყლით, და ბოლოს ისევ ორჯერ გამოვალებთ ცივ წყალს, ვაცდით დაწრეტას, ამოვამშრალებთ და გო-

გირდს ვუხრჩოლებთ. თუ სოდა დაძველებულია ან მდა მარტო მართვა
რისხისაა, მაშინ უნდა დავამზადოთ 8—10 პროცენტიანი
ხსნარი.

თუ სოდა არა გვაქვს, ქვევრები შეიძლება ახალი კირის
ხსნარით გავრცხოთ. ხსნარის მოსამზადებლად კარგია ქვაკი-
რი. 2—3 კგ ჩამქრალ კირს ვხსნით 3—4 ლიტრ წყალში და
გაუხსნელი ნაწილაკების მოსაცილებლად გავწურავთ საცერ-
ში. მიღებულ რძისებრ ხსნარს შევავსებთ 10—12 ლიტრამდე,
რაც სრულიად საქმარისია ერთი საშუალო ზომის ქვევრისა-
თვის. ასეთი ხსნარით კარგად უნდა შევათეთროთ ქვევრის
ქედლები, ვაცალოთ შეშრობა 15—20 წუთის განმავლობაში
და შემდეგ ვრეცხოთ იმავე წესით, როგორც სოდის შემთხვე-
ვაში.

თუ არც კირი გვაქვს ხელთ, მაშინ ქვევრების სარეცხად
შეიძლება გამოვიყენოთ ნაცარწმენდილიც. ის მზადდება შემ-
დეგნაირად: 3—4 კგ ახალ ნაცარს გავხსნით 10—12 ლიტრ
წყალში და ვადულებთ 10—15 წუთს. შემდეგ ვაცლით და-
ლექვას და შედარებით სუფთა ხსნარს გადმოვწურავთ. ასეთი
ხსნარი ცხლადვე უნდა მოვავლოთ ქვევრს და 10—15 წუთის
შემდეგ დავიწყოთ მისი რეცხვა ისევე, როგორც ზემოთ იყო
აღნიშნული. უნდა გვახსოვდეს, რომ ნაცარწმენდილით გა-
რეცხვის შემდეგ აუცილებელია ქვევრი ორჯერ კარგად გაი-
რეცხოს ცხელი წყლით, ორჯერ ცივით, დაიწრიოტოს, ამომ-
შრალდეს და გოგირდი ებოლოს. არ უნდა დაგვავიწყდეს
აგრეთვე მეორე დღეს სარქველის ნაწილობრივ ახდა ქვევრის
გასაქარავად.

სოდას, კირსა და ნაცარწმენდილსაც ტუტე თვისებები
ახასიათებს. რეცხვის დროს ისინი ანეიტრალებენ ქვევრის
ქედლებზე ნარჩენ მეუკებს და ჭუჭყისაგან ათავისუფლებენ
ჭურჭელს. ამასთან ისინი სპობენ ქედლებზე განვითარებულ
ობებსა და ბაქტერიებს და, ამრიგად, სისუფთავესთან ერთად,
ქვევრის დეზინფექციასაც უზრუნველყოფენ.

პირველად გარეცხვის შემდეგ ქვევრს ყოველ 3—4 დღეში
ერთხელ უნდა ვუხრჩოლოთ გოგირდი; რთველის დაწყებამდე
2—3 დღით ადრე კი მას მეორედ ვრეცხავთ. მეორე რეცხვა

შდება ცივი წყლით. ამ დროს საქმარისია ქვევრის ერთნერლ კარგად ამოხეხვა, შემდეგ სუფთა წყლით მოვლება, ტილოთი ამოშრობა და გოგირდის ხრჩოლება.

მესამედ ქვევრი ირეცხება ხმარების წინ. ჭურჭელს ცივი სუფთა წყლით მსუბუქად ამოვრეცხავთ, ჯამით წყალს მოვავლებთ და ტილოთი ამოშრობის შემდეგ მსუბუქად ვუხრჩოლებთ გოგირდს.

ახლად ნახმარ ქვევრებში ღვინოების გადაღების დროს ჭურჭელი ერთხელ ცივი წყლით კარგად უნდა გაირეცხოს, ამოსუფთავდეს, ტილოთი ამოშრეს და ღვინის მოთხოვნილებებისამებრ გოგირდი ებოლოს.

ქვევრის სისუფთავე შეიძლება შევამოწმოთ შემდეგი ნიშნებით: უკანასკნელად ამოღებული ნარეცხი წყალი უნდა იყოს გამჭვირვალე, უსუნო, სუფთა გემოსი და უნდა იძლეოდეს ნეიტრალურ რეაქციას; მრეცხავის ამოსვლიდან 1—2 საათის შემდეგ, როდესაც ქვევრში წყალი ჩაიწრიტება, ზევიდან გასინჯვით მას დამახასიათებელი სუფთა სუნი უნდა ჰქონდეს; კედლებზე შემოსმით არ უნდა ჭუჭყიანდებოდეს სუფთა ხელი ან ტილოს სუფთა თეთრი ნაჭერი. თუ ქვევრი არ აქმაყოფილებს ამ მოთხოვნას, იგი ხელმეორედ უნდა გაირეცხოს. თუ, მიუხედავად ამისა, მაინც ეჭვი გვეპარება ქვევრის სისუფთავეში, შეგვიძლია გასუფთავებული ქვევრის კედლები ღვინის სპირტით შევასველოთ. სპირტი სპობს კედლებზე დარჩენილ მიკროორგანიზმებს და ჭურჭელს საბოლოოდ აჯანსაღებს.

ქვევრების მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ნახმარი ჭურჭლის წესიერად შენახვას. დაცლილი ქვევრები გულდასმით უნდა გაირეცხოს ცივი წყლით. შემდეგ უნდა გამოვავლოთ წყალი, ვადროვოთ ჩაწრეტა, ტილოთი ამოვაშროთ და ბოლოს კედლებზე შევაფინოთ გაცრილი ნაცარი. ნაცარი ანეიტრალებს შერჩენილ მეურნეობს, აფერხებს მიკროორგანიზმების განვითარებას და, ამრიგად, ჯანსაღად ინახავს ჭურჭელს მომავალი სეზონისათვის. გარეცხილი და ამომშრალებული ქვევრის შენახვა შემდგომ ხმარებამდე შესაძლებელია აგრეთვე გოგირდის დროგამოშვებით ხრჩოლებითაც.

უნდა გვახსოვდეს, რომ ქვევრების სარეცხად ვიზმჰოლოს მხოლოდ სუფთა, დასალევად ვარგისი წყალი.

ხმარების წინ აუცილებელია ქვევრების შემოწმება სიმრ-თელის მხრივ, რისთვისაც მათ შიგა ზედაპირს გულდასმით სინჯავენ ანთებული სანთლით. თუ ქვევრი გაბზარულია ან ამოტეხილი აქვს ზედაპირი, საჭიროა მისი შეკეთება ცემენტით ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხიზით. ქვევრის შესაკეთებლად უნდა შევარჩიოთ კარგი ხარისხის ახალი ცემენტი და შევურიოთ ორწილ გარეცხილ სილაში. ამგვარად მომზადებული ხსნარით საგულდაგულოდ უნდა ამოილესოს სატეხით წინასწარ დამუშავებული დაზიანებული ადგილი. ხიზი მზადდება შემდეგნაირად: გამდნარ თხის სუფთა ქონში უნდა გაიქნას გაცრილი ნაცარი ცომისებრი მასის მიღებამდე. ასეთ ცომს ჯოხზე დახვეული ტილოთი ცხლადვე წავუსვამთ წინასწარ გასუფთავებულ და გამშრალ დაზიანებულ ადგილებს.

არის შემთხვევები, რომ ნახმარ ქვევრებს, რეცხვის გაადვილების მიზნით, შიგნიდან მთლიანად აცემენტებენ. ამ დროს ქედლებს ფარავენ ცემენტისა და სილის ნარევის თხელი ფენით, რასაც ქვევრის „მოკალვას“ ეძახიან. ქვევრის გაცემენტებას ერთობ არასასურველი შედეგები მოსდევს. ყველაზე კარგი ცემენტის, ეგრეთ წოდებული პორტლანდცემენტის შემადგენლობაში საშუალოდ შედის: კალციუმის ჟანგი— 62% ; სილიციუმის ორგანგი— 22% ; მაგნიუმის ჟანგი— $2,5\%$; ერთნახევარი ჟანგეულები: ალუმინისა— $7,5\%$, რკინისა— $2,5\%$ და სხვ. ასეთ შემადგენლობასთან ხანგრძლივი შეხებისას, ცხადია, ღვინოში გადმოვა მძიმე ლითონები, განსაკუთრებით რკინა, და გაიზრდება მათი საერთო რაოდენობა. მაგალითად, ერთი ლიტრი კახური ტიპის ღვინო ნორმალურად შეიცავს $10-12$ მილიგრამამდე რკინას, გაცემენტებულ ქვევრში დაყენებისას კი რკინის რაოდენობამ შესაძლოა გადააჭარბოს ლიტრზე 20 მილიგრამს. ამ დროს ადვილი მოსალოდნელია ღვინის გაშავება, რადგანაც რკინის ეს ჭარბი რაოდენობა მოქმედებს ღვინოში არსებულ მთრიმლავ ნივთიერებებზე და წარმოქმნის სიშავის წარმომშობ რკინა-ტანატის ნალექს. გარდა ავისა, მთლიანი გაცემენტების შემთხვევაში გამორიცხუ-

ლი არ არის ცემენტის ფენაში ნაბზარების გაჩენა. ამ ნაბზარებში კი შედის ღვინო, შიგ რჩება და ჭურჭლის გაცლის შემდეგ იქ ფეხს იკიდებს ძმრის, მანიტისა და ღვინის ავადმყოფობების გამომწვევი სხვა მიკროორგანიზმები. ასეთი ქვეპრის გამოჯანსაღება შემდეგში არც ისე ადვილია. მართალია, არსებობს ახლად გაცემენტებული ქვევრის წინასწარი დამუშავების საკმაოდ სანდო მეთოდი, მაგრამ იგი იმდენად რთული და შრომატევადია, რომ მასთან შედარებით უმნიშვნელოა ჭურჭლის გარეცხვის გაადვილებით მიღებული ეფექტი. თუ ამასთან გავითვალისწინებთ ღვინის ხარისხზე ცემენტის შემდგომ ხანგრძლივ უარყოფით შოქმედებასაც, მაშინ ცხადი იქნება ქვევრის მთლიანი გაცემენტების მიზანშეუწონლობა. ამიტომაც, თუ უკიდურესი აუცილებლობა არ არის, უნდა ვერიდოთ შიგნიდან ქვევრის მთლიან გაცემენტებას.

ლონისიებანი ჩვევრული კახური ტიპის თეთრი ლგინის გაუმჯობესებისათვის

ზემოთ ჩვენ დავახასიათეთ ნავის, როგორც ყურძნის გადასამუშავებელი საშუალების, დაღებითი და უარყოფითი მხარეები და აღვნიშნეთ, რომ მნიშვნელოვან ნაკლოვანებათა გამო, ნავი მიუღებელია თანამედროვე წარმოებებში და მის მაგიერ სხვადასხვა სისტემის ყურძნის საჭყლეტი მანქანებია ხმარებული. მაგრამ კახური ტიპის თეთრი მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოებაში საჭყლეტი მანქანების გამოყენებამ გამორიცხა ისეთი მეტად სასარგებლო პროცესი, როგორიც არის მარცვლების გამოწურვა და ჭაჭის ფერმენტაცია, რაც ნავში ტრადიციულად ხორციელდებოდა.

კახური ტიპის თეთრი ღვინოების ხარისხზე ფერმენტირებული ჭაჭის გავლენისა და საწარმოო მასშტაბით მისი შემოღების მიზანშეწონილობის გამოსარკვევად ჩვენ დავაყენეთ სათანადო ცდები „სამტრესტის“ მუკუზნის მევენახეობა მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობაში. საცდელი ნაკვეთებიდან მიღებული ერთნაირი შემადგენლობისა და ხარისხის ყურძნი ყველა წესის ზუსტად დაცვით გადავამუშავეთ როგორც ძვე-

ლი, ისე თანამედროვე წესით. ნავწი ყურძნის ფეხებში და კულეტისა და დურდოს სამჯერ გადაბრუნების შემდეგ, ჭაჭას აჩენჩილ მდგომარეობაში ვტოვებდით 8 საათის განმავლობაში, ე. ი. იმდენ ხანს, რაც მიღებული იყო ძველი წესის დროს ჭაჭის ბუნებრივი ფერმენტაციისათვის. ფერმენტირებული ჭაჭა პროპორციულად გაუზნაწილეთ ქვევრებში ჩასხ-მულ წინასწარ გოგირდნახრჩოლებ ტკბილს.

საკონტროლო ცდებისათვის ყურძნი გადავამუშავეთ სა-კულეტი მანქანით კლერტგაუცლელად. ამგვარად, ორივე ნი-მუშში მონაწილეობას ღებულობდა კლერტი, განსხვავება კი მხოლოდ ყურძნის დაჭიულეტის პირობებსა და ჭაჭის დაფანგვა-ში იყო.

ალკოჰოლური დუღილი ჩაგატარეთ ქვევრებში 3%, თვით-შერჩეული საფუვრების მიმატებით. შძაფრი დუღილის შემ-დეგ ქვევრებს თანდათანობით ვავსებდით შესაბამისი მასა-ლით. ღვინოები ჭაჭიდან მოვხსენით ერთდროულად; შემდ-გომ ტექნოლოგიურ პროცესებსაც თანაბრად და ერთდროუ-ლად ვაწარმოებდით.

ნიმუშების ქიმიურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ საკონტრო-ლოსთან შედარებით ფერმენტირებულ ჭაჭაზე დადუღებულ ღვინოში მეტი იყო კუთრი წონა, ექსტრაქტი, მინერალური და გუნდილოვანი ნივთიერებანი. სახელმწიფო სადეგუსტა-ციო კომისიამ აღნიშნა, რომ დაფანგულ ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოებს უფრო მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვს, ვიდრე მის საკონტროლო ნიმუშებს¹.

ამასთან ქიმიურმა ანალიზმა გვაჩვენა ისიც, რომ ნავში გადამუშავებული ყურძნიდან მიღებულ ღვინოებში, საჭიულეტ მანქანაში გადამუშავებულთან შედარებით, მეტი იყო მერო-ლავი მჟავები და ოდნავ ნაკლები ღვინის ტიტრული მჟავია-ნობა. ამ არასასურველ ცდლილებათა მიზეზი აღბათ იყო ძველი წესით ყურძნის გადამუშავების ზოგიერთი თავისებურება. სა-ხელდობრ ის, რომ მისი განხორციელების დროს ირღვვა სანი-

¹ უფრო დაწვრილებით იხ.—დ. გიაშვილი. კახური ტიპის ღვინის ტექნოლოგია, საქ. სას.-სამ. ინსტიტუტის შროები, ტ. 34, 1951.

ტარულ-ჰიგიენური პირობები და, რაც მთავარია, ნავშენული ხებით დურდოს განუწყვეტელი რევის დროს, ჭარბი აერაციის გამო, ხდება სხვადასხვა მავნე ორგანიზმების გააქტივება.

გაფითვალისწინეთ რა ყურძნის გადამუშავებისა და ღვინოების დაყენების ძველი და თანამედროვე მეთოდების თავისებურებანი, წინანდლის, გურჯაანის, მუკუზნისა და კარდანახის ღვინის ქარხნებში 1944—1947 წლებში დაყენებული ცდების საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ კახური ტიპის თეთრი მაღალხარისხოვანი ღვინის დაყენების ახალი ტექნოლოგიური სქემა (ნახ. 13). ეს სქემა მოკლედ შემდეგში მდგომარეობს¹.


21—24% შაქრიანობისა და ლიტრ ტკბილში 4,5—6,5 გრამი ტიტრული მჟავიანობის შემცველი ყურძნენი გადამუშავდება ჩვეულებრივი საჭყლეტი მანქანით, დიდ წარმოებაში კი — ფულოტუმბოთი. დაჭყლეტილი მასა ანუ დურდო გადადის წყვეტილი მოქმედების კალათიან წნევებში. კალათიანი წნევები, როგორც ცნობილია, შეიძლება იყოს ერთკალათიანი, ორკალათიანი, და სამკალათიანი. მათი შერჩევა ხდება მეღვინეობის წარმოების სიმძლავრის მიხედვით.

დურდოს გამოწეხა წარმოებს ჭაჭის ერთხელ ან ორჯერ გადაბრუნებით. გამოწეხილ ჭაჭის ავჩენაგთ თვით წნევში ან სპეციალურად გამზადებულ ხის ბაქანზე და დასაეანგად ვტოვებთ. დაუანგვის ანუ ფერმენტაციისათვის საქმარისია 6—8 საათი. ფერმენტაციის დრო დამოკიდებულია ყურძნის ხარისხე, ჭაჭის დაწნეხის ინტენსიობაზე, ჭაჭის ფენის სისქეზე, ჰაერის ტემპერატურაზე და სხვ. ასე, მაგალითად, კარგად გამოწეხილ ჭაჭის, როცა ის ხის ბაქანზე თხელ ფენად (10—15-დღე) არის გაშლილი, საფერმენტაციოდ გაცილებით ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე მაშინ, როცა იგი წნეხის ქალათაშია დატოვებული.

წნეხიდან გამომდინარე ტკბილი წინასწარ გოგირდნახრჩოლებ ქვევრებში ისხმება. დაუანგვის შემდეგ ჭაჭას უნაწი-

1. იხ. დ. С. Гиашвили—Технология белого вина типа кахетинского. Журн. „Винод. и Виногр. СССР“, 1949, № 1.

ლებთ ტკბილს ქვევრების ტევადობების მიხედვით და პლკო-
ჰოლური დუღილის ჩასატარებლად ვამატებთ 2,5—3 პრო-
ცენტ საფუვრის წმინდა ქულტურას ან თვითშერჩეული სა-
ფუვრის მოდულარ მასას.



ნაჩ. 13. სქემა კარური ტიპის თეთრი ღვინის დაყენებისა ჭაჭის ფერ-
შენტაციით: 1—ავტომანქანა, 2—სასჭორი, 3—ხვიმირა 4—ფულოტუმბი,
5—ტუმბო, 6—ჭნები, 7—ხის ბაქანი ჭაჭის ფერმენტაციისათვის, 8—ქვევ-
რები ტკბილის დუღილისათვის ჭაჭაშე, 9—ქვევრები ჭაჭიდან მოხსნილია
ღვინისათვის, 10—კასრები ღვინის დასამწიფებლად.

ალკოჰოლური დუღილის პერიოდში, როგორც უკვე აღვ-
ნიშნეთ, სისტემატურად უნდა ხდებოდეს დურდოს დარევა
და ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ დუღილის ნორმალუ-
რად ჩატარებისათვის (ტემპერატურის რეგულირება და სხვ.)¹.

მძაფრი დუღილის გავლის შემდეგ ქვევრები თანდათანო-
ბით უნდა შეივსოს მსგავსი ან უფრო დადუღებული საღი
მაჭრით. დუღილის დამთავრებისას, როდესაც გაზის გამო-
ყოფა ძლიერ შემცირდება და მაჭარს შეუნელდება გაფარ-
თოებისაკენ მიღრეკილება, ქვევრს პირზე უნდა დავაფინოთ
ჭინასჭარ გასუფთავებული და გარეცხილი ხავსი ან ვაზის
ფოთოლი და თავი დაეხუროთ. შემდეგში ქვევრები კვირაში

1. ჭაჭის ფერმენტაციის შესახებ იხ. გ. ბერიძის შრომა—„კარური
ღვინის ტექნოლოგია და ენოქიმიური დახასიათება“, მეცნ.—მედვ. ინსტ.
შრომები, ტ. 6, 1950



ერთხელ მაინც უნდა გავსინჯოთ და, როდესაც ჭაჭაპილია წყებს დაძირგას, მაშინ პირზე ვუკეთებთ კარგად ნაზელ თანხის რგოლს, შევაგსებთ, თანხის რგოლში პატრუქების დამაგრებით გოგირდს ვუხრჩოლებთ, ვხურავთ და ვაყრით მიწას. გოგირდის ხრჩოლება შეიძლება ღვინის ზედაპირზე მოთავსებული სუფთა ჯამითაც. ამის შემდეგ ქვევრები უნდა გაისინჯოს ყოველ ათ დღეში. როცა ჭაჭა მთლიანად დაიძრება (ჩალის ღეროთი შევატყობთ) და ღვინო სრულიად დაიხვეწება, რაც ჩვეულებრივ პირობებში უფრო ხშირად დეკემბერსა და იანვარში ხდება, შევუდგებით ჭაჭიდან ღვინის მოხსნას, ე. ი. მოვახდენთ ღვინის პირველ გადაღებას.

✓უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი გადაღებისათვის საჭირო მომენტი ყველა ქვევრში ერთდროულად როდი დგება. იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე—ყურძნის ავკარგიანობაზე, მის ქიმიურ შემადგენლობაზე, დუღილის მიმდინარეობაზე, საფუვრების სიძლიერეზე და სხვ.

დიდ ჭარმოებებში პირველი გადაღება უმჯობესია დაიწყოს მაშინ, როდესაც ქვევრების უმეტეს წილში ღვინო უკვე დაწმენდილია, ამასთან, გადაღება არ უნდა გადავაცილოთ იანგრის ბოლო რიცხვებს, რადგან ამის შემდეგ ხშირად თანდათან მატულობს პარის ტემპერატურა და მცირდება ატმოსფერული წნევა, რის გამოც მოსალოდნელია დაძირული ჭაჭის ზედაპირზე მოთავსებული მჩატე დანალექის ამოძრავება და ღვინის ამღვრევა.

გადაღების დროს სრულიად დაწმენდილ თავანქარ ღვინოს ვანცალკევებთ შემღვრეული ფრაქციებისაგან. ამასთან ჭაჭის დაწნეხვის შედეგად მიღებულ თვითნადენსა და პირველ გამონაწნებს ვუმატებთ შემღვრეულ ღვინოებს, ხოლო წნეხიდან მიღებულ ბოლო ფრაქციებს კი ცალკე ვაყრენებთ.

ღვინის კარგად დახვეწისა და თავანქარი ფრაქციის გასაზრდელად კარგია შემდეგი ღონისძიება: როდესაც დუღილი სავსებით შეწყდება და ჭაჭაც უკვე დაჯდება ქვევრის ფსკერზე, ხის სარევეთ ჭურჭელს ირგვლივ ისეთნაირად უნდა დაურიოთ, რომ დაძირულმა ჭაჭამ კონუსის ფორმა მიიღოს. ამ ღონისძიების ეფექტი შემდეგში მდგომარეობს:

ა) მაჭური თავისუფლდება ნარჩენი ნახშირორეგანგა ჰუმანიტარულ საგან;

ბ) ძლიერდება პაერის შეხება და დაუანგვითი პროცესები ახალგაზრდა ლვინოში, რასაც შედეგად მოსდევს ლვინის ღირსებისათვის სასარგებლო რთული პროცესები; პროდუქტს უმუქდება ფერი და გამძლე გამშვირვალობასაც შედარებით მაღვე აღწევს;

გ) იზრდება პირველი ანუ თავანკარი ფრაქცია.

კახური ტიპის თეთრი ლვინო პირველად ჭაჭაზე უნდა დაიწმინდოს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჭაჭიდან ადრე მოხსნილი მღვრიე ლვინო შემდეგში, უფრო ხშირად, ძნელად იწმინდება და დამწიფებისათვის უფრო მეტ დროს მოითხოვს.

ხდება ხოლმე, რომ ქვევრში ჭაჭის დაძირვის შემდეგ ლვინო მაინც მღვრიე დარჩება. ასეთ შემთხვევაში კარგ შედეგს იძლევა საღი ჭაჭიდან ამორჩეული და გასუფთავებული კლერტის კონის ლვინოში ჩაშვება; ასეთი კონა ლვინის გადაღების შემდეგ უხვად არის ხოლმე შებორბლილი ნალექით.

კიდევ ერთი ნაცადი ლონისძიება: თუ ლვინოს თავზე ატივტივებული აქვს ჩენჩო, ქვევრის ყოველი ახდისას იგი საწურით უნდა მოვხადოთ, ქვევრი კი კვლავ პირამდე შევავსოთ.

თებერვალში ან მარტის პირველ ნახევარში, წინასწარი ლაბორატორული ანალიზის შემდეგ, ვიწყებთ საძველო მასალების შერჩევას და, იმ მიზნით, რათა მივიღოთ ერთნაირი შემაღენლობისა და თვისების პროდუქცია, მეორე გადაღების დროს ერთმანეთში გურევთ სხვადასხვა ჭურჭელში დაყენებულ ლვინოებს, ე. ი. გაწარმოებთ ლვინოების ეგალიზაციას. ეგალიზირებული ლვინის შენახვა-დამწიფება შეიძლება თვით ქვევრებშიც, მაგრამ თუ შესაფერისი სარდაფი გვაქვს, მაშინ მას ვათავსებთ კასრებში და ისე ვინახავთ დასაძველებლად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვევრი, მართალია, შეუდარებლად კარგი ჭურჭელია ტებილის ალკოჰოლური დუღილისათვის, მაგრამ ასევე კარგი როდია, როგორც ლვინის შესანახი ჭურჭელი. ამ შემთხვევაში მისი ძირითადი უარყოფითი შეა-
4. ქართული მარანი



რე ისაა, რომ მისი პირამდე გავსება და ხანგრძლივად შემცირდა. მეტულად დახურვა ძნელდება. სარქველის ქვეშ თიხა თან-დათანობით შრება, იბზარება და ჰაერი თავისუფლად ეხება ღვინის ზედაპირს. ეს კი ხელს უწყობს აერობიული ორგანიზმების—ბრკის, დაძმარების და სხვათა განვითარებას. ამას-თან, თიხის რგოლი, დაგვიანებით გამოცვლის შემთხვევაში, სხვადასხვა აბებით იფარება და თავისებურ არასასიამოვნო სუნს სძენს ღვინოს. ქვევრის ამ უარყოფით მხარეს პირველად მიაქცია ყურადღება მხცოვანმა მეცნიერმა ვასილ პეტრიაშვილმა და გამოსავალიც ფრიად საყურადღებო გამონახა. მისი აზრით, ქვევრის პირს უნდა დაედგას თიხისაგან გაკეთებული ხუფი სალანჩე ტყავის ან რეზინის რგოლის დატანებით. ხუფი ქვევრის პირზე დამაგრდება რკინის ან ხის ქანჩებით და ქვევრის ავსების შემდეგ საცობით ჰერმეტულად დაიხურება.

რეცხვისა და ტკბილის დუღილის პერიოდში ხუფი უნდა მოიხსნას, ხოლო თუ ქვევრების ნაწილი მხოლოდ ღვინოების შესანახად გვაქვს დატოვებული, გაშინ იგი ცემენტის ხსნარით მუდმივად შეიძლება დამაგრდეს; ქვევრის ზედაპირზე. თუმცა პროფ. ვ. პეტრიაშვილის ეს მოსაზრება სავსებით ნათელი და საგულისხმოა, მაგრამ სამწუხაროდ, იგი პრაქტიკულად ჯერ არ ყოფილა გამოცდილი.

დამწიფების პროცესში, ისევე როგორც სხვა ტიპის სუფრის ღვინოებს, კახურ ღვინოსაც სისტემატური შევსება და მოვლა ესაჭიროება.

თუ საძველო ღვინოები ქვევრებში გვაქვს, საჭიროა თვე-ში ორჯერ თიხის რგოლის გამოცვლა და ჭურჭლის შევსება; ღვინის გაფართოების შემთხვევაში კი მოკლება.

ბრკის საწინააღმდეგოდ ჭურჭელს გოგირდი უნდა ვუხრიოლოთ, ან კიდევ ღვინოს ზედაპირზე ფრთხილად დავასხათ მცირეოდენი ღვინის სპირტი, დაგურუოთ ქვევრი გასუფთავებული სარქველით და სქლად დავაყაროთ მიწა.

სექტემბერში, რთველის დაწყებამდე, ღვინო კიდევ უნდა გადავიღოთ (მესამედ გადაღება). თანახმად ინსტრუქციისა, იანვრიდან, თუ ღვინო ბუნებრივად კარგად არის დაწმენდი-

ლი, შეიძლება სარეალიზაციოდ მისი ჩამოსხმა. იმ შემთხვევაში გაში, როდესაც ღვინოს არ მიუღია სრული გამჭვირვალობა, სარეალიზაციოდ ჩამოსხმამდე საჭიროებისამებრ ვაწარმოებთ მის დამუშავებას—გაწებვას ან გაფილტვრას და ვასვენებთ.

კახური ღვინის გარდა, ქვევრის საღვინედ გამოყენებასთან ორგანულად არის დაკავშირებული აგრეთვე ისტორიულად ცნობილი იმერული ტიპის თეთრი ღვინის ტექნოლოგია.

იმპრული ტიპის თეთრი ღვინის დაზვენება

იმერული ტიპის თეთრი ღვინო თავის თვისებებით თითქოს გარდამავალი საფეხურია კახური და ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებს შორის. ფერით იგი კახურზე უფრო ბაცია და ევროპულზე გაცილებით მუქია. ექსტრაქტოვნებით და ძირითად ელემენტთა სისხვით, განსაკუთრებით გუნდილოვანი ნივთიერებებით, ჩამორჩება კახური ტიპის ღვინოს, მაგრამ, აჭარბებს ევროპულს. საერთო მუვიანობა მას მეტი აქვს, ვიდრე კახურს, მაგრამ არც იმდენი, რაც ევროპულ ღვინოებს მოეთხოვება. ეს ღვინო თითქმის ისევე ენერგიულია, როგორც კახური, მაგრამ უფრო მხურვალე და მსუბუქი.

იმერული ღვინო, როგორც წესი, ქვევრებში მზადდება. მის დასაყენებლად ძირითადად ციცქა, ცოლიკოური და კრახუნა გამოიყენება. ყურძენი იკრიფება ტკბილში $20-23\%$, შაქრიანობისა და ლიტრში 6-7 გრამი ტიტრული მუვიანობის დროს და რაც შეიძლება სწრაფად, მოკრეფისთანავე ხდება მისი გადამუშავება. დაზიანებული ან დაავადებული მტევნებისაგან თავისუფალი საღი ყურძენი ქლერტის გაცლით იქვლიტება. დურდო იწნიხება კალათიანი წნევებით. მაღალხარისხოვანი ღვინო თვითნადენი და პირველი ნაწესის ტკბილიდან დგება. წნეხიდან მიღებული ტკბილი მღვრიეა და შეიცავს, როგორც ყურძნის მექანიკური ნაწილების ნაშთებს, ისე მრავალ მიკროორგანიზმს, მტვერს, ნაწამლის ნაშთს და სხვ. ამ სიმღვრივის მოცულებას აღწევენ ტკბილის დაწრეტით, რისთვისაც საქმარისია $20-24$ საათით გავაჩე-



როთ იგი ქვევრებში ან ხის ბუტებში. ამასთან, უნდა შემჭიდროვა
დოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში ტკბილმა დუღილი არ
დაიწყოს, რისთვისაც ჭურჭელს წინასწარ ყოველ 100 ლიტრ
მოცულობაზე 4—6 გრამი გოგირდი უნდა ეხრჩოლოს (თუ
ყურძენი ცხელი შემოვიდა, მაშინ გოგირდის დოზა 10—12
გრამამდე უნდა გაიზარდოს). დაწრეტილი ტკბილი ტუმბოს
საშუალებით დასაღულებლად ნაწილდება გარეცხილ ქვევრებში,
სადაც ყოველ 100 ლიტრ ტკბილზე ემატება 4—5 კილო-
გრამი კლერტგაცლილი დაუღულარი საღი ჭაჭა. დუღილის
წესიერად ჩატარების მიზნით ქვევრებს, გარდა ამისა, უმა-
ტებენ აგრეთვე 2—3% საფუგრის წმინდა კულტურით მო-
დულარ ტკბილსაც. ქვევრები დასაღულებელი მასალით პირამ-
დე არ უნდა გაიგსოს—მას უნდა დავუტოვოთ საღულარი
არე მოცულობის 10—15%-ის ფარგლებში. დუღილი მიმდი-
ნარებს მუხის ან წაბლის ხის სარქველით დახურულ ქვევ-
რებში. სარქველს მაღლიდან 10—15 სმ სიმაღლეზე დააგლე-
სენ აყალო მიწას, ხოლო დუღილის დროს გამოყოფილი ნახ-
შირორეანგა გაზის ამოსასგლულად სარქველში გაატარებენ
40—50 სანტიმეტრი სიგრძის ლერწმის მილს. ისევე როგორც
კახური ტიპისა და წითელი ლვინოების დაყენებისას, ამ შემთ-
ხვევაშიც საჭიროა მოღულარი მასის დარევა, მაგრამ არც თუ
ისე ხშირად: სრულიად საკმარისია ამ ოპერაციის ჩატარება
დღეში ერთხელ ან ორჯერ. დარევის წინ აუცილებელია სუფ-
თა ტილოთი ქვევრის პირის შემოწმენდა. მძაფრი დუღილის
დამთავრებისთანავე ქვევრებს თანდათანობით ვაკებთ მსგავ-
სი ან უფრო დადუღებული ხარისხოვანი მასალით და სრუ-
ლი დადუღების შემდეგ უფრო სქლად ვაყრით თიხამიწას
ან ლამს. როდესაც გაზის გამოყოფა შეწყდება, მაშინ შეიძ-
ლება ხის სარქველის შეცვლა ჩვეულებრივი სარქველით, რო-
მელიც კარგად ნაზელ თხის რგოლით შეიძლოდ დაეკვრება
ქვევრს. სარქველები შეიძლება ზემოდანაც შემოვლესოთ თი-
ხით, შემდეგ კი სქლად უნდა დავაყაროთ მიწა. ქვევრების
გრილად შენახვისათვის საჭიროა, რომ მარანში ნორმალური
სინესტე იყოს, რისთვისაც იგი დროგამოშევებით უნდა მოვრ-
წყოთ ხოლმე. ქვევრების გასინჯვის დროს ლვინის ზედაპირ-

ზე ამოტივტივებული ჩურჩის ფენა სუფთა საცერიო უნდა მოვხადოთ, გავწუროთ, ჭურჭელი შევავსოთ და ქვლავ დავხუროთ. ჭაჭის სრული დაძირვისა და ღვინის დაწმენდის შემდეგ, რაც ნორმალურ პირობებში დეკემბრის თვეში ხდება, ღვინოს ოდნავ გოგირდნახრჩოლებ სუფთა ქვევრებში გადაუიღებთ. ანის შემდეგ იმერული ტიპის ღვინოსაც ისეთივე მოვლა ესაჭიროება, როგორც კახური ტიპის ღვინოებს.

ჩვევის გამოყენება ევროპული ტიპის ღვინოების დასაზღვრებლადაც

ქვევრის გამოყენება შეიძლება ევროპული ტიპის ღვინის დასაყენებლადაც. ევროპული ტიპის ღვინო კახურთან და იმერულთან შედარებით უფრო მხატეა, მაღალმჟავიანი, ნაზი და მეტად ჰარმონიულია. ეს ღვინოები ფერის შედარებით ნაკლები ინტენსიონით გამოირჩევიან: თეთრები უმეტესად ღია და მუქი ჩალისფერით, ხოლო წითლები ძირითადად ღია წითელი და ლალისფერით ხასიათდებიან. ამ თვისებებს განაპირობებს ევროპული ტიპის ღვინის დაყენების ძირითადი თავისებურებანი. ყურძენი იქრიფება მაშინ, როცა ტქბილში შაქრიანობა $18-21\%$ -ს შეადგენს, ხოლო საერთო მეტანობა— $7-8$ გრამს ლიტრში. საქართველოს იმ მხარეებში, საღაც მოსალოდნელია ყურძენის გადამწიფება, მაგალითად, კახეთში და იმერეთში, ევროპული ტიპის ღვინის დასაყენებლად რთველს შედარებით ადრე ატარებენ. ასე რომ არ მოიქცნენ, გადამწიფებული ყურძენიდან ვერ მიიღებენ ევროპული ტიპის ხარისხოვან ღვინოს." ის იქნება მომეტებული სიმაგრის, ძელგი, დუნე, უპარმონიო და არასრულშინაარსიანი. ყურძენის მეტად ნაადრევი დაკრეფაც არ არის სასურველი, რადგან ღვინოს ეგრეთ წოდებული „მწვანე მფავიანობის“ არასასიამოვნო გემო და არასრულყოფილი შემადგენლობა ექნება. ამიტომაც ამ ღვინის ტიპიურობისა და ხარისხოვნებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს შესაფერი ყურძენის ტექნიკური სიმწიფის დაცვას. კრეფის დროს ყურძენს

მოვაცილებთ დაავადებულ და დაზიანებულ მტევნებულ გვსაზღვრავთ შაქრიანობასა და ტიტრულ მექანიზმების შემდეგ ვწონით და სათანადო გაფორმების შემდეგ ვჰქმლეტო-თეთრ ყურძენს ვაცლით კლერტს და დურდოს კალათიან წნევებში ვათავსებთ, თვითნადენსა და პირველი ნაწეხის ტკბილს დასაწრეტად გადავქაჩავთ დიდი ტევადობის ბუ-ტებში ან ქვევრებში, რომლებსაც წინასწარ ნახრჩოლები აქვს ას ლიტრ მოცულობაზე 5—10 გრამი გოგირდი. ბოლო გამონაწეხი ფრაციები უფრო უხეშია და დაუანგული, ამი-ტომ მათ ცალკე დავადულებთ. დაწრეტის შემდეგ, რისთვი-საც დაახლოებით ერთი დღე-დამეა საჭირო, ტკბილს სადუ-ლარ ჭურჭლებში ვანაწილებთ და ვუმატებთ 2%, საფუვრის კულტურით მოდულარ ტკბილს. ევროპული ტიპის ლვინოს, როგორც წესი, ხის კასრებში ან ბუტებში ამზადებენ. მაგ-რამ, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მისი დაყენება შეიძლება ქვევრებშიც. ამ უკანასკნელში, როგორც გამოცდილებამ დაგ-ვარწმუნა, ზოგჯერ ხის ტარასთან შედარებით უკეთესი შე-დეგებიც კი მიიღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტკბი-ლი მაღალმექავიანია. საქმე შემდეგშია: სანამ დალვინდებო-დეს, ტკბილი დუღილის ორ სტადიას გაივლის: პირველადი დუღილის სტადიას, რომლის დროსაც, ძირითადად, შაქარი გარდაიქმნება, და მეორად ანუ წყნარ დუღილი, როცა ეგ-რეთ წოდებული რძის მევა დუღილი წარმოებს. ამ უკანასკ-ნელ პროცესს იწვევენ განსაზღვრული ჯგუფის ბაქტერიები, რომლებიც უფრო ენერგიული და მკვეთრი მექანიზმების მქო-ნე ვაშლის მექანიზმის გარდაქმნიან რბილი გემოსა და ნაკლებ-ენერგიულ რძის მევად. ამ პროცესის დამთავრებისას, რა-საც დალვინებას ეძახიან, ტკბილში არსებული საერთო მექა-ვიანობა 25%-მდე მცირდება. მეორადი, წყნარი დუღილი უშუალო გაგრძელებაა პირველადი დუღილისა და საქართ-ველის პირობებში უფრო გრილ და ზოგჯერ ცივ ამინდებს ემთხვევა. ამ დუღილის ბაქტერიების ნორმალური ცხოველ-მყოფელობისათვის საჭიროა რაც შეიძლება მუდმივი სითბო. მართალია, როცა სადუღარი განყოფილება კაბიტალურ შე-ნობაშია, მეორადი დუღილი ნორმალურად მიმდინარეობს.



ყოველგვარ ტარაში, მაგრამ ქვევრებს ამ პირობებში ჭავჭავაძემ
უბირატესობა აქვს. ერთი და იგივე შემადგენლობის ტკბილს,
როგორც ცდებმა გვიჩვენა, დალვინების შემდეგ ქვევრში
უფრო ნაკლები საერთო მეუღიანობა შერჩა და გემოც უფრო
რბილი და სასიამოვნო დაუდგა, ვიდრე იმავე ტევადობის
ხის ტარაში. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ რძის მეაგა
ბაქტერიებს უფრო კარგი სამოქმედო პირობები აქვთ მიწა-
ში მყოფ ქვევრებში, ვიდრე ჩვეულებრივ სადუღარ განყო-
ფილებებში. ამიტომ, თუ ყურძენი მაღალმუზავიანია, სავსებით
მისაღები და მიზანშეწონილია ევროპული ტიპის ღვინოების
დასაყენებლად ტკბილის ქვევრებში დადუღება და დაღვინება.
ქვევრები პირამდე არ უნდა ავავსოთ დასადუღებელი ტკბი-
ლით. მძაფრი დუღილის დროს გამოიყოფა დიდალი ნახ-
შირობანგა გაზი, რის გამოც ტკბილი ფართოვდება, ქაფ-
დება და მოსალოდნელია დანაკარგები. ამიტომ ქვევრები
ნაკლულად უნდა დავტოვოთ, მაგრამ არა იმდენად, რო-
გორც ჭაჭაზე დუღილის დროს. ამ შემთხვევაში სრულიად
საკმარისია 5—8%. დუღილის პერიოდში ხშირად უნდა შე-
მოიწმინდოს ქვევრის პირი. მძაფრი დუღილის გავლისას
ქვევრი მსგავსი ან უფრო დადუღებული ღვინომასალით უნ-
და შეივსოს. წყნარი დუღილის გავლის შემდეგ ქვევრს ვუ-
კეთებთ კარგად ნაზელ თიხის რგოლს, ვუხრიოლებთ გო-
გირდს, ვახურავთ სუფთა სარქველს და ვაყრით მიწას.

ამის შემდეგ საჭიროა ქვევრების ხშირი შემოწმება, თი-
ხის რგოლის გამოცვლა და შევსება. ღვინოს პირველად ტკბი-
ლის დადუღებისა და მაჭრის დაწმენდის შემდეგ გადავი-
ღებთ. ეს მომენტი ჩვეულებრივ დეკემბრის თვეში დგება. მეორედ გადაღებას ვახდენთ დაღვინების შემდეგ, დაახლო-
ებით იანვარ-თებერვალში. ამის შემდეგ დასამწიფებლად
ღვინო უნდა განაწილდეს მუხის კასრებში და შესაფერის
სარდაფში მოთავსდეს. ორდინალური ევროპული ტიპის ღვი-
ნო შეიძლება ქვევრებშიც დავამუშაოთ.

წითელი ყურძენი ევროპული ტიპის ღვინის დასაყენებ-
ლად კლერტის გაცლით იჭყლიტება. მისი დადუღება და
მოვლა ისეთივეა, როგორც კახური ტიპის წითელი ღვინისა.

ფერისა და ექსტრაქტის მისაღებად დუღილის პერიოდული ხშირად უნდა წარმოებდეს დურდოს დარევა. ჭაჭიდან ღვინო იხსნება მძაფრი დუღილის გავლისას, დაახლოებით 6—8 დღის შემდეგ დუღილის დაწყებიდან. გადასაღებ ღვინოში შაქარი თითქმის მოლიანად უნდა იყოს დაშლილი. ჭაჭა იწნიხება კალათიან წნევებში. თვითნადენი და პირველი ნაწნები ღვინო ემატება ძირითად მასალას, შემდეგი ფრაქციები კი ცალკე თავსდება. ორი-სამი კვირის შემდეგ წითელ ღვინოს კვლავ გადავიღებთ ოდნავ ნახრჩოლებ ქვევრში. შემდგომი გადაღება იანვრის ბოლოს ან თებერვალში წარმოებს. ამის შემდეგ წითელ ღვინოსაც ისეთივე მოვლა ესაჭიროება, როგორც კახური ტიპის ღვინოებს. თუ გვაქვს სარდაფი, ღვინოს ურთიერთ შერევის ინუ ეგალიზაციის შემდეგ კასრებში მოვათავსებთ, თუ არა და მას ქვევრებში ვინახავთ ისე, რომ ჭურჭელი მუდმივად სავსე და რაც შეიძლება პერმეტულად დახშული იყოს.

ევროპული ტიპის ღვინოების შემდგომი დამუშავება — კუპაჟი, შევსება, გადაღებები, საბოლოო კუპაჟი, გაწებვა, ბოთლებში ჩამოსხმა და სხვა, — წარმოებს საღირექტივო ორგანოების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

აკტორისაგან	3
ქართული მარანი	5
მარანში სახმარი იარაღ-მანქანები	10
მარნის მომზადება რთველისათვის	24
ქვევრი როგორც სალვინე ჭურჭელი, მისი დამზადება და გამოყენება ლონისძებანი ქვევრში კახური ტიპის თეთრი ღვინის გაუმჯობესებისათვის	30
ბისათვის	44
იმერული ტიპის თეთრი ღვინის დაყენება	51
ქვევრის გამოყენება ევროპული ტიპის ღვინოების დასაყენებლად	53

რედაქტორი შ. სულაბერიძე
ტექნიკური 6. ლლონტი
კორექტორი ე. შერვაშიძე

წელმოწერილია დასაბეჭდად 7/VI-61 წ. ქა-
ლალდის ზომა $84 \times 105^{\frac{1}{2}}$. ნაბეჭდი თაბაზი 3.08
სავტორუ თაბაზი 2,39 სააღრ.-საგამომცემლო
თაბაზი 2.46

ფა 00488 ტირაჟი 5000 შეკვ. № 787
ვ პ ს ი 9 ბბპ.

საქართველოს კაც-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი
„კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина № 14.



Давид Саввич Гиашвили

Грузинский марани

ПОСУДА ДЛЯ БРОЖЕНИЯ И ХРАНЕНИЯ ВИНА

(На грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1961

325/623



0000000000
0000000000

